ᲙᲕᲐᲚᲘ

IX წ. საყოველკვირეულო გაზეთი. IX წ.

№ 45. კვირა, 4 ნოემბერი 1901 წელსა. № 45.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შაური.

სელის მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: საფრანგეთის ლიტერატურა მე-XIX საუკუნ.— საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრესი.— შინაური მიმოხილვა.— სხვა-და სხვა ამბები.—კორესპონდენციები.— რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—წერა კითხვის გამავრც. საზოგ. წლიური კრება.— ხამშობლო ცაზე, რიგოლეტოსი.—წერილები თიანეთიდან, სევ. ჯ-ლი. —ბუნებისმეტყველების დედააზრი მე-XIX საუკუნეში, ვ. ს—ძესი.— ექიმთა კრების შესახებ, ექიმისა.— ფსიხიურ და სოციალურ მოვლენათა თანდათანობაზე —განცხადებანი.

საფრანგეთის ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში.

3. ჟორჟ-ზანდი.

ლიტერატურის ისტორიაში ძალიან ცოტაა იმგვარი ნიჭის მწერალი ქალი, როგორიც იყო ჟორჟ-ზანდი. ჟორჟ-ზანდი არის ფსევდონიმი საფრანგეთის მწერალი ქალისა, რომელიც ჰიუგოსა და ბალზაკის თანამედროვე იყო და რომლის სახელი და გვარი არის ავროორა დიუპენი. ის დაიბადა პარიჟში 1804 წ. 2 ივლისს. მამა მისი გამოჩენილი გვარის შვილი იყო, შეძლება დიდი ქონდა და ამიტომ მდიდრულ ცხოვრებას მიდევდა, მაგრამ ავროორა სულ სხვა გვარმა ცხოვრებამ გაიტაცა. თუმცა ის ეკუთვნოდა არისტოკრატთა წრეს, მაგრამ მას უფრო იზიდავდა გლეხის მოსახლეობა, მდიდრულათ ცხოვრება და ფუფუნება მისი მიზანი არასოდეს არ ყოფილა. თავისი სიბავშვე მან გაატარა ნოჰანში. აქ ის ტკბებოდა სოფლის ბუნებით, პატარაობიდანვე უკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას და მისდამი სიყვარული ნელ-ნელა ისახებოდა იმის გულში. როდესაც ავროორას შეუსრულდა თოთხმეტი წელიწადი, ის მიაბარეს პარიჟის ერთ მონასტერში, რადგანაც წარსული საუკუნის პირველ ნახევარში ქალების აღზრდა-განათლება თითქმის სულ მონასტრებში იყო მოთავსებული. სწავლის დამთავრების შემდეგ ის ისევ ნოჰანში დაბრუნდა, მაგრამ აქ ახალგაზდა ქალის უაზრო და უდარდელ ცხოვრებას კი არ მოკიდა ხელი, თვით-განვითარებას შეუდგა. მალე მან შეისწავლა ევროპის სიტყვა-კაზმული მწერლობა და ფილოსოფია, როგორც ძველი, ისე თავისი დროის. იმ დროის იდეებმა ახალგაზდა ქალის გონებაზე დიდი გავლენა იქონიეს.

ჟორჟ-ზანდი. ელიზა ორლეანელი.

ავრორას მოუსვენარი სული და აგზნებული გული მიისწრაფოდა სადღაც, მაგრამ ეს მისწრაფება ახალგაზდა, გამოუცდელი ქალისათვის ჯერ ბუნდოვანი, გაუგებარი იყო და თავდაპირველათ მას გზა რუსსომ და ბაირონმა გაუკვლიეს. ამათი ზეგავლენით ავრორამ ერთი მხრით შეიყვარა და იდეალურის სამოსით შემოსა როგორც ბუნება ისე ბუნებრივი, ანუ მარტივი, სოფლური ცხოვრება, მეორე მხრით მან კრიტიკულის თვალით შეხედა საზოგადოებრივ ცხოვრებას და საზოგადოებრივ შეხედულებებს. მაგრამ ის გონებრივი მუშაობა, რომელიც მასში აღძრეს რუსსომ და ბაირონმა, დროებით შეწყვიტა ავრორას მოუფიქრებელმა ნაბიჯმა—გათხოვებამ. თვრამეტი წლისა იყო ის, როდესაც ცოლათ გაყვა სოფლის შეძლებულ აზნაურს დიუდევანს. ამ ქორწინებას უბედურების მეტი არც ერთისათვის არაფერი მოუტანია. ავრორა გაყვა დიუდევანს იმიტომ კი არა, რომ უყვარდა, არამედ იმიტომ, რომ ყველა თხოვდებოდა და ამასთან დიუდევანი, როგორც ძველი გვარის შვილი, კარგ სასიძოს წარმოადგენდა. დიუდევანიც იმიტომ ირთავდა მას, რომ ავრორა ლამაზი იყო და მასთან ნახევარი მილიონი ფრანკი ქონდა მზითვათ. სიყვარულიც რომ დებოდა მათ შეუღლებას სარჩულათ, მათი ბედნიერება ყოვლათ შეუძლებელი იყო: ქმარი იყო ძველებური შეხედულების აზნაური, რომლის რწმენითაც ოჯახის სრული უფროსი და თვითმპყრობელი ქმარია, ცოლი კი მორჩილი აღმასრულებელი მისი ნებისა; ავრორა კი თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ეტრფოდა, ის მტერი იყო დესპოტიზმის, ოჯახის ფარგლებში იქნებოდა ეს უკანასკნელი, საზოგადოების თუ სახელმწიფოსი და ამიტომ ის მალე დარწმუნდა, რომ ქმართან მისი ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. 1831 წ. ავრორა სამუდამოთ გაეყარა ქმარს და თავისი ორი შვილით პარიჟში ჩამოვიდა.

ავრორას ამგვარ გადაწყვეტილებას დიდი შედეგი მოყვა როგორც მისთვის, ისე საფრანგეთის მწერლობისთვის. ქმრის ოჯახში შეზღუდული მისი მოძრავი ბუნება პარიჟში თავისუფლათ გაიშალა და ის დაუდგრომელი მისწრაფება და ბუნებით დაყოლილი ენერგია სათავეთ დაედვა საუცხოვო რომანებს, რომლებსაც თავის დროს დიდი გავლენა ქონდათ საზოგადოებაზე. ავრორას არავითარი შეძლება არა ქონდა, როდესაც პარიჟში ჩამოვიდა, მაგრამ სიღარიბეს ის არ შეუშინებია. მან დაიქირავა ერთი პატარა ოთახი და პირველათ მხატვრობით ირჩენდა თავს. თავდაპირველათ მისი მიზანი იყო საზოგადოების გაცნობა და ამიტომ ის ტრიალობდა საზოგადოების ყოველ სფერაში, ლიტერატორებში, მხატვრებში, სტუდენტებში, ესწრებოდა ლიტერატურულ კრებებს, მიტინგებს და სხ. გატაცებული ქალი, რომელიც ქმრის ოჯახიდან დესპოტიზმსა და უდარდელ ცხოვრებას გამოექცა, მალე მიიზიდა ახალგაზდობამ და ახალი დროის იდეებმა. მისი დროის ახალგაზდობა გაცხარებულ ბრძოლაში იყო: ის ებრძოდა კლასიციზმს და მის ნაცვლათ რომანტიზმს უმტკიცებდა ნიადაგს, ებრძოდა ძველ საზოგადოებრივ რწმენა-შეხედულებათ, ებრძოდა ძველ სოციალურ მოძღვრებათ და სხვ. ამ ბრძოლამ გაიტაცა ავრორაც და აიღებია კალამი ხელში. როგორც ქალი, ის გამოვიდა გულის ვექილათ, გრძნობათა თავისუფლების მქადაგებლათ და თავის გულწრფელობით, გატაცებით და მომხიბლავი ლირიზმით მან ერთბაშათ დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება. ამ დღიდან მას დაერქვა ჟორჟ-ზანდი, რომლითაც წერა მან ამ ფსევდონიმით დაიწყო. დედააზრის მიხედვით ჟორჟ-ზანდის ნაწერები შეიძლება დავყოთ სამ ნაწილათ. პირველი ხანა მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა გრძელდება 40 წლამდე. ამ დროს განმავლობაში მას დაწერილი აქვს ბევრი რომანები: „ინდიანა“, „ვალენტინა“, „ლელია“, „მგზავრის წერილები“ და სხვ. უმთავრესი თემა ამ ნაწერებისა არის სიყვარული. ჟორჟ-ზანდი წინააღმდეგია ისეთი ქორწინების, რომელიც სიყვარულზე არ არის აშენებული; თავის რომანებში ის გვიხატავს, თუ რა შედეგები მოდევს ისეთ ცოლ-ქმრობას, რომლის ნიადაგსაც სიყვარული არ შეადგენს, თუ რამდენათ ამაღლებს და აფაქიზებს სიყვარული ადამიანს. იმ დროის საზოგადოებრივი შეხედულებანი სიყვარულს არავითარ თავისუფლებას არ აძლევდენ; ისინი სასტიკათ კიცხავდენ იმ ქალს, რომელიც ქმარს ღალატობდა; მაშინდელი საზოგადოება გარეგან სიმტკიცეს ოჯახისას მაღლა აყენებდა შინაგან ფსიხოლოგიურ სიმტკიცეზე. ჟორჟ-ზანდმა კი სრული თავისუფლება მოითხოვა სიყვარულისათვის. თუ ქალს არ უყვარს ქმარი, მას სრული უფლება აქვს დაანებოს ოჯახს თავი და გაყვეს იმ კაცს, რომელიც მას უყვარს და მის გრძნობას არც კანონიერი ქმარი, და არც საზოგადოება არ უნდა ეღობებოდეს წინო, გამოაცხადა მან. იქ, სადაც სიყვარულია, სიმრუშეს ალაგი არა აქვს, სიმრუშე ის კი არ არის, როდესაც ქალი სიყვარულს თავისუფლათ ემორჩილება, არამედ ის, როდესაც ქალი ისეთ ქმართან ცხოვრობს, რომელიც მას არ უყვარსო, აღიარა ჟორჟ-ზანდმა ერთ თავის რომანში და ამით ძირი გამოუთხარა თავისი დროის შეხედულებებს. აქედან მკითხველი ხედავს, რომ ჟორჟ-ზანდი სიყვარულს განუსაზღვრელ თავისუფლებას აძლევდა, სქესთა შორის სიყვარულს ის ყოველისფერს მსხვერპლათ წირავდა, რაც შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. სქესთა შორის სიყვარულს თავისუფლება უნდა ქონდეს დათმობილი, მაგრამ ეს გრძნობა სხვა სიმპატიურ გრძნობებს არ უნდა თრგუნავდეს, ეს კი სახეში არ მიიღო ჟორჟ-ზანდმა. ერთი სიტყვით ჟორჟ-ზანდმა გამოაცხადა: მიეცით გულს სრული და განუსაზღვრელი თავისუფლებაო, და ამიტომაც მისი ყოველი რომანი დიდ კამათს იწვევდა არა თუ ლიტერატურულ წრეებში, თვით პოლიტიკურ პარტიებშიაც კი.

40 წლებიდან იწყება მეორე ხანა მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა და გრძელდება 48 წლამდე. ამ ხანაში ჟორჟ-ზანდი გაიტაცა თავისი დროის პოლიტიკურმა მოძღვრებებმა და თავის რომანებში იწყო სოციალიზმის პრინციპების ქადაგება და ხალხის უფლებათა დაცვა. 48 წელს მან მიიღო დიდი მონაწილეობა საზოგადო მოძრაობაში, მაგრამ მალე მისი გატაცება განელდა, მისი მოძრავი და დაუწყნარებელი ბუნება დამშვიდდა, მან სრულებით თავი დაანება საზოგადოებრივ ცხოვრებას, გადასახლდა თავის ძველ ნოჰანში და იწყო მყუდრო ცხოვრება თავის შვილიშვილებში. აქ ის იწყებს ერთი მხრით მოთხრობების წერას გლეხების ცხოვრებიდან და მეორე მხრით პიესების წერას. მან გამართა ნოჰანში თეატრი და თავის პიესებს ამ თეატრისათვის წერდა; ბოლო დროს კი ის ისევ თავის პირველ თემას დაუბრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ჟორჟ-ზანდი ეკუთვნოდა რომანტიულ სკოლას, რომანტიზმი და იდეალურათ ხატვა იმისი ნიჭის ძირითად თვისებებს შეადგენდენ. მის ნაწერებში უმთავრესი ალაგი გრძნობას ქონდა დათმობილი; მისი ცხოვრება სრულებით შეეფერებოდა მის რწმენას სიყვარულის თავისუფლების შესახებ; ამიტომ ის ბევრგან თავის საკუთარ თავსა და თავგადასავალს ხატავს თავის რომანებში. საერთოთ ის იმას კი არ ხატავდა რაც იყო, არამედ მას, რაც უნდა ყოფილიყო, სიტყვაკაზმული მწერლობის დანიშნულებას ის სწორეთ ცხოვრების იდეალიზაციაში ხედავდა, ამ იდეალიზაციის წყალობით მისი ბევრი გმირები სინამდვილეს მოკლებული არიან: მისი გლეხები მეტათ საუცხოვონი გამოვიდენ. მაგრამ მიუხედავათ ყველა ამ ნაკლულევანებათა ჟორჟ-ზანდის რომანებს დიდი გავლენა ქონდათ როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთში და მათი მნიშვნელობა ჩვენი დროისთვისაც არ არის ჯერ გადასული: იმ ყალბ აზრებს ცოლ-ქმრული კავშირისა და ოჯახური სიწმინდის შესახებ, რომლებსაც ჟორჟ-ზანდი ებრძოდა, დღესაც ბევრი მოძხრე ყავს ჯერ.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

XII.

ერთ ჩემ საუბარში ამიერ-კავკასიის მეურნეობის შესახებ, ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივედით: 1) ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ადგილობრივი ნაწარმოების ხორბლეულობის გადაზიდვა თანდათან კლებულობს, მაშასადამე კლებულობს ადგილობრივი ხორბლეულობის საზღვარგარეთ გატანაც; 2) ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ, რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო მეტი პური გადმოაქვთ ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ; 3) ეს უკანასკნელი გარემოება შეუძლებელი იქნებოდა, რომ რუსეთიდან შემოტანილი პურის რაოდენობა ყოველ წლივ არ მატულობდეს. ასეთია რკინის გზის სტატისტიკის ცნობები, რომლებიც ჩვენ წინანდელ საუბარში გავაცანით მკითხველს. ამასთანავე ჩვენ იქვე დავაყენეთ შემდეგი კითხვა: რას ნიშნავს ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიიდან საზღვარ-გარეთ პურის გატანა თანდათან კლებულობს და პირიქით შესამჩნევათ მატულობს იმ პურის რაოდენობა, რომელიც ჩვენში რუსეთიდან შემოაქვთ? ნიშნავს ეს მოვლენა ჩვენი მეურნეობის დაცემას, თუ ის სულ სხვა რისამე მომასწავებელია? სანამ პირდაპირ ამ საგნის გამორკვევას შევუდგებოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ აქ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა ამ ნახევარი საუკუნის წინ და დღეს. აღვნიშნოთ მოკლეთ, თუ რა განსხვავება არსებობს ძველსა და ახალს შორის და ან რა მიმართულება მიიღო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ ამ უკანასკნელ დროს.

ამ ნახევარი საუკუნის წინეთ ჩვენი მხარე წარმოადგენდა ნატურალური წარმოების ქვეყანას: მან არ იცოდა, თუ რა იყო არც თანამედროვე მრეწველობა და არც განვითარებული აღებმიცემობა; გარდა ორიოდე უმნიშვნელო საგნისა, თითოეული ოჯახი თუ სოფელი ყოველ გვარ მოთხოვნილებას თავისივე შრომით იკმაყოფილებდა, იგი გარედან შემოტანილ საქონელში არ საჭიროებდა და ან საჭიროებდა სულ მცირეოდნათ. ერთი სიტყვით თითოეული ოჯახი ან [illegible] მაშინ წარმოადგენდა ეკონომიურ ერთეულს, რომელიც დამოუკიდებლათ ცხოვრობდა. ასეთ მდგომარეობაში, რასაკვირველია, ფული არ შეადგენს ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებას. ამ დროს, რომელზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, სოფლის მეურნეობა ერთთავათ ბატონყმურ შრომაზე იყო დამყარებული; მიწა, ეს მაშინდელი სიმდიდრის ერთათ ერთი წყარო, სამი მეპატრონეს კუთვნილებას შეადგენდა: თავად-აზნაურობის, ეკლესია-მონასტრის და ხაზინისას. რაც შეეხება მაშინდელ ქალაქებს, იმათაც სოფლური ცხოვრების ელფერი ქონდათ; იმათ უმთავრეს ძარღვს შეადგენდენ ხელოსნები თავისი შემოზღუდული, კარჩაკეტილი ცხოვრებით. მაგრამ გასული საუკუნის მესამოცე წლებში ასეთი ეკონომიური წეს-წყობილების და მაზე აშენებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დღენი უკვე დათვლილი იყო. ბატონყმობის გაუქმება კანონმდებლობითი გზით მხოლოთ დაჩქარება იყო იმ პროცესის, რომელიც თვით ცხოვრებაში ხდებოდა. ახალი ეკონომიური წესწყობილების და, მაშასადამე, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის კერა შეიქნა ქალაქი. ქალაქების აღორძინებამ და განვითარებამ თანდათან გამოიყვანა სოფელი კარჩაკეტილობიდან და დაუკავშირა იგი საერთაშორისო ბაზარს. თუ რა მნიშვნელობას იძენენ თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალაქები, ამას ჩვენ ნათლათ დაგვანახვებს შემდეგი გარემოება. ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 3.115,164-დან 1865 წელს ავიდა 5.461,911-დე 1897 წელს, ე. ი. 32 წლის განმავლობაში მოიმატა $75,_{33}\%$; იმავე დროს ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა საერთო რიცხვი იყო: 1866 წელს 305,099, ხოლო 1897 წელს კი 701,215; ე. ი. 31 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა რიცხვს მოუმატნია $129,_{72}\%$ მაგრამ ქალაქებს უმატიათ არა მარტო აბსოლუტურათ: უფრო შესანიშნავია ქალაქების ზრდა სოფლებთან შედარებით. ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით:

1866 წელს $9,_{47}\%$.
1886 „ $10,_{32}\%$
1897 „ $12,_{83}\%$

ყურადღების ღირსი აქ ის გარემოებაა, რომ მაშინ როცა პირველი ოცი წლის განმავლობაში (1866—1886) ეს ქალაქების შედარებითი ზრდა მხოლოთ $0,_{86}\%$-ით გამოიხატება, უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში ეს განსხვავება $2,_{51}\%$-ს უდრის, ისე რომ ჩვენი ქალაქების ზრდა-განვითარება განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ხნის ამბავია *).

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება ბატონყმობის გაუქმებიდან ასე მოხდა. ბატონ-ყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლებისათანავე ხალხმა ხელი მიყო განსაკუთრებით მიწის მუშაობას, რადგანაც მრეწველობა იმ დროს ჩვენში თითქმის სრულებით არ არსებობდა, და აღებ-მიცემობაც ძლიერ სუსტათ იყო განვითარებული. მას მოყავდა უმეტეს ნაწილათ პური, ქერი,

*) ეს ცნობები ამოღებული გვაქვს წერილიდან „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მე-XIX საუკუნეში“, ფ. მახარაძისა (იხ. «კვალი», 1900 წ. № 9).

სიმინდი და ღომი და შემდეგში აგრეთვე ვაზის მოშენებას; ყოველივე ეს ხდებოდა ძველებურ წესზე. ვინ იცის ეს რამდენ ხანს გასტანდა, რომ ჩქარა ხალხში ფულის მოთხოვნილება არ გაჩენილიყო. ეს მოთხოვნილება ორი გზიდან წარმოდგა. გლეხკაცობა ღლიდან განთავისუფლებისა მარტო იმაზე ფიქრობდა, რომ რამე ნაირათ მესაკუთრე გამხდარიყო, გამოეყიდა მებატონეებისაგან თავისი «ნადელი», ე. ი. თავი დაეხსნა. ამისთვის კი ფული იყო საჭირო. მეორე მხრით, რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან შემოტანილმა ფაბრიკულმა და ქარხნულმა საქონელმა თანდათან გამოუთხარა ძირი ადგილობრივ ნატურალურ წარმოებას და ბოლოს სრულიად მოსპო იგი. ამ ნაირათ ის მოთხოვნილებანი, რომლებსაც წინეთ გლეხის ოჯახი თავისი შრომით, შინამრეწველობით იკმაყოფილებდა, შემდეგ ხანებში იძულებული შეიქნა ნაყიდი საქონელით დაეკმაყოფილებია, რისთვისაც, რასაკვირველია, კიდევ ფული იყო საჭირო. გარდა ამისა გლეხკაცობას აწვა თავზე კიდევ სხვა-და-სხვა თუ სახელმწიფო თუ საერობო, გადასახადი ფულათ. პირველ ხანებში ყველა ამ მოთხოვნილებას სოფლის ხალხი მეურნეობის სხვა-და-სხვა ნაწარმოების: პურის, ქერის, სიმინდის და ღვინის გაყიდვით იკმაყოფილებდა. მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რომ მამა-პაპეულ წესზე დაყენებული მეურნეობა ამას დიდხანს ვერ გაუძლებდა. ხალხი დაიძრა სოფლებიდან და «გარეთ» იწყო ფულის შოვნა. დაახლოვებით ამ დროს მოხდა რკინის გზის გახსნა ჩვენში, რამაც ხელი შეუწყო და გააადვილა ხალხის მისვლა-მოსვლა. ამავე დროს გაძლიერდა ჩვენში და მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა მარგანეცის და განსაკუთრებით ნავთის წარმოებამ, შემდეგ ქვა-ნახშირის, სპილენძის და სხვა გვარმა წარმოებამ; განვითარდა ალებ-მიცემობაც და ხალხი სოფლებიდან გაეშურა ქალაქებში და სხვა სამრეწველო და საალებმიცემო ადგილებში. ამნაირათ თუ ამ 40—50 წლის წინეთ ჩვენი მხარე ნატურალურ მეურნეობის და მიწათმოქმედების ქვეყნათ ითვლებოდა, დღეს უკვე ეს ასე აღარ არის: ყველასათვის აშკარაა, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედების და მეურნეობის ელფერს კარგავს და ხდება საალებმიცემო და სამრეწველო ქვეყნათ, რაც აშკარათ ჩანს როგორც ქალაქების მცხოვრებთა გამრავლებით, ისე სხვა-და-სხვა სამრეწველო და საალებმიცემო ცენტრების აღორძინებით და განვითარებით, როგორც მაგ., ბაქო, ბათომი, ჭიათურა და სხვ. ერთი სიტყვით მეურნეობა, განსაკუთრებით პურის მოყვანა, რომელიც უწინ ჩვენში ცხოვრების უპირველეს და თითქმის ერთათერთ წყაროთ ითვლებოდა, თანდათან კარგავს ასეთ მნიშვნელობას და ჩვენ ცხოვრებაში უპირატესი თუ არა თანასწორი უფლება მაინც ეძლევა მრეწველობას და ალებ-მიცემობას. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში მეურნეობა უკან მიდის. პირიქით, მრეწველობის და ალებ-მიცემობის განვითარებამ ჩვენი მეურნეობა წინ წასწია მით, რომ მის ნაწარმოებს ბაზარი გაუჩინა, რითაც საშუალება მიეცა მეურნეთ მეურნეობაში სხვა-და-სხვა გაუმჯობესობის შესატანათ.

რაც შეეხება კერძოთ იმ გარემოებას, რომ პურის გატანა საზღვარგარეთ ამიერ-კავკასიიდან თინდათან კლებულობს და სამაგიეროთ თანდათან მატულობს მისი შემოტანა რუსეთიდან, ამის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ეს გარემოება სრულებით არ ნიშნავს ჩვენში პურის მოსავლის შემცირებას. მართალია, ამ საგნის შესახებ ჩვენ არა გვაქვს საჭირო სტატისტიკური ცნობები, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ პურის მოყვანა ჩვენში არ შემცირებულა. ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი შესამჩნევათ გაიზარდა და ამის დაკვალობით დღეს გაცილებით მეტი პურია საჭირო. მაგრამ შედარებით წინანდელ დროსთან, თქმა არ უნდა, რომ პურის მოყვანა ჩვენში შემცირდა, ე. ი. იმის მოყვანას დღეს ისე აღარ მისდევენ ჩვენში, როგორც წინეთ. ჩვენში რომ ხელოსნობის სტატისტიკა (промысловая статистика) იყოს შემოღებული, აშკარათ დავინახავდით, თუ როგორ კლებულობს იმ მეურნეთა რიცხვი, რასაკვირველია შედარებით, რომლებიც განსაკუთრებით ხორბლეულობის მოყვანას მისდევენ და იმავე დროს თუ როგორ მატულობს მეურნეობის სხვა დარგში მომუშავეთა რიცხვი. გარდა ამისა ამ უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში სოფლის ხალხს გამოეყო საკმარისათ დიდი ნაწილი მისი წევრებისა, რომელიც ქალაქებში და სხვა სამრეწველო და საალებმიცემო ადგილებში დაესახლა და რომელიც ბურჟუა-კაპიტალისტის თუ დღიური მუშის სახით თითონ ხდება სამეურნეო ნაწარმოებთა მუდმივი მუშტარი.

თუ ახლა ხორბლეულობის მოყვანას თავს დავანებებთ და მეურნეობის სხვა დარგს მივმართავთ, დავინახავთ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში ფეხს იკიდებს ერთი მხრით მებაღეობა და მებოსტნეობა, და მეორე მხრით სხვა-და-სხვა სამრეწველო მცენარეთა მოშენება, როგორც თამბაქო, ბამბის და ჩაის ხე; ამას ერთვის მეაბრეშუმეობა და რაციონალური მეძროხეობა. მაგრამ ის დარგი, რომელსაც პურის მოყვანის შემდეგ უპირველესი მნიშვნელობა აქვს სოფლის ეკონომიურ ცხოვრებაში, არის მევენახეობა და მეღვინეობა. მართალია მევენახეობის და მეღვინეობის განვითარებას დიდათ შეუშალა ხელი ფილოქსერის და ვაზის სხვა ავათმყოფობათა გაჩენამ, მაგრამ მეორე მხრით უნდა აღვიაროთ, რომ ამავე გარემოებამ დააყენა დღეს ჩვენში მევენახეობის და მეღვინეობის საქმე ნამდვილ მკვიდრ ნიადაგზე. იმ გაჭირვებამ და განსაცდელმა, რომელშიაც ჩავარდა მეღვინეობის საქმე ჩვენში დასახელებულ გარემოებათა გამო, ჩვენი მეღვინე-მევენახენი თითქო ერთბაშათ გამოიყვანა ღრმა ძილისაგან. ვაზის მოშენებას და ღვინის დაყენებას აქამდინ არავითარი გაუმჯობესობა არ დატყობია. როგორც ზევით შევნიშნეთ, ერთ ხნობით ძლიერ შეფერხდა ღვინის კეთების საქმე, მაგრამ იგი ჩქარა გამოკეთდა და ბევრათ უფრო გაუმჯობესებულ გზაზე დადგა. ვენახის პატრონები ჩქარა დაბრუნდენ, რომ წინანდულათ საქმის წარმოება ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ მეღვინეობის გასაუმჯობესებლათ საჭირო იყო ფული, კაპიტალი. კაპიტალის დაბანდებამ მევენახეობა-მეღვინეობაში ღრმა ცვლილება მოახდინა მეურნეობის ამ დარგში. ვენახის მოვლის და ღვინის კეთების საქმე დღეს გაუმჯობესებულია ჩვენში იმდენათ, რამდენათ მასში კაპიტალისტურ წარმოებას აქვს ადგილი. აშკარაა, რომ ასეთ წესწყობილებაში გამარჯვებული, როგორც ყოველგან, ისევ სხვილი და შეძლებული მეურნეა. ვისაც თვალ-ყური უდევნებია მევენახეობის და მეღვინეობის საქმისთვის კახეთში გინდ ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლ იმერეთში, იმისთვის ამ ჩვენ ნათქვამში არაფერი ახალი არ არის. მეორე მხრით ვინ არ იცის ჩვენ წვრილ მესაკუთრეთა უკიდურესი გაჭირვება და იმათი პაწაწკინა ვენახების საბრალო მდგომარეობა დღევანდელ პირობებში ასეთ მესაკუთრეთ არავითარი სახსარი არა აქვთ ვენახს უწამლონ ან მეურნეობაში რაიმე გაუმჯობესობა შეიტანონ.

ამნაირათ ჩვენი მეურნეობა წარმატებაში შედის დღეს იმდენათ, რამდენათაც იგი წმინდა კაპიტალისტური წარმოების ხასიათს ღებულობს. კაპიტალისტური მეურნეობა მოასწავებს წარმოების გაუმჯობესებას, საუკეთესო იარაღების და მაშინების შემოღებას, მიწის გაპოხიერებას და სხვ. რომ ჩვენი მეურნეობა ადგას ამ გზას, ეს ჩვენთვის უტყუარი ჭეშმარიტებაა. ამას გვიმტკიცებს სხვათა შორის სამეურნეო იარაღების და მაშინების გავრცელება ჩვენში. აი რა ცნობებს გვაძლევს ამის შესახებ რკინის გზის სტატისტიკა. ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გადაუტანიათ:

	1899	1898	1894	1898	1894

კარგათ იცოდა ისიც, რომ ოპოზიცია იძულებული იყო, გადაწყვეტილებათა განხორციელება გამგეობისთვის მიენდო იმ იმედით, რომ განახლებული გამგეობა კრებისაგან ნაჩვენებ გზას გაყვებოდა. ბ. ჯორჯაძე ბრძანებს, ოპოზიციამ ახალი გზა არაფერში უჩვენაო, და ასეც რომ იყოს ეს უფრო თავის თავის საყვედური იქნება, ვიდრე სხვისა, რადგან თითონ ამ ოპოზიციის წევრი იყო; მასაც შეეძლო ეჩვენებია ეს გზა, სხვა არა იყოს რა, მთელი გაზეთი მის განკარგულებაშია და თუ ის არ ყოფნის, სხვაც მიცემდა ადგილს ამ შემთხვევისთვის. მაგრამ თვით ბრალდებაც უსაფუძვლოა. ოპოზიციამ ქართული ენის სასურველი პროგრამაც დაახასიათა, სკოლების პედაგოგიური მხრით სასურველათ მოწყობაზეც მიუთითა, ფოტოგრაფიის წარმოებაზეც და წიგნების გამოცემაზეც და ვიმეორებთ, თუ გამგეობას მიანდო—იმ მოსაზრებით, რომ ძველის მოშორება გადაწყვეტილი გვქონდა—ჩვენთან ერთათ ბ. ჯორჯაძესაც—და ახალი ყოველივეს ისე მოაგვარებდა, როგორც კრებისთვის იყო სასურველი. ტყუილა გაუტაცნია ბ. ჯორჯაძე კრიტიკის სურვილს, და თუ უკანასკნელი აღელვება ქონდა სახეში, რომელიც კრების გადადებამ გამოიწვია, მაშინ უნდა მოვახსენოთ, რომ ბ. ჯორჯაძეც ჩვენსავით უკმაყოფილო იყო ამ მოქმედებით და ჩვენთან ერთათ თხოულობდა კრების გაგრძელებას. ახლა ვიკითხოთ, ვის არ მიყვება ბ. ჯორჯაძე? ოპოზიციას? ეს ხომ თავის თავის არ გაყოლაა. და ვინ აიძულა ან წინეთ ამოდგომოდა გვერდში, თუ არა მისმა თავისუფალმა ნებამ? სამწუხაროა, რომ ბ. ჯორჯაძე ჯერ მოქმედობს და მერე ფიქრობს, სხვა რისამე დანახვა აქ შეუძლებელია. დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა კრება და თუ რამე სასურველი დადგენილება გვაქვს მისაღები, ეს შეგვიძლია ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების დროს მოვახდინოთ და ამ მხრითაც ნაადრევი იყო ბ. ჯორჯაძის წერილი. დანარჩენებზე კრების დამთავრების შემდეგ.

* * *

უმოქმედობას, მგონი, ჭიათურის საბჭოც ანებებს თავს. ამის იმედს გვაძლევს «ნოვ. ობ.» თანამშრომელის კორესპონდენციები, რომელიც იმავე დროს ერთი უახლოებელესი თანამშრომელი და თანამოღვაწეა ჭიათურის საბჭოსიც. ის საკვირველი გამბედაობით და გულ-ახდილათ აღნიშნავს თავის გაზეთის ფურცლებზე ჭიათურის ჭირ-ვარამს, რომელიც, მოგეხსენებათ, მრავალზე მრავალია. ჩვენმა მკითხველებმა კარგათ იციან, რა არის ჭიათურა. იქ ისეთ ატავისტურ მოვლენათაც კი ეხვდებით, როგორც კაციჭამიაობაა (იხ. «კვ.» № 40); იქ ადამიანი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სწორ-ხერხემლიან არსებას, ჯერ კიდევ ოთხზე დადის (იხ. „ნოვ. ობ.“) და ეს იმავე მოღვაწე საბჭოს წყალობით, რომელსაც აქამდინ არ უზრუნავს ამ სამრეწველო ცენტრის განათებაზე. მოგეხსენებათ, სიცოცხლე ტკბილია და მის გასაგრძობათ ოთხზე კი არა რვაზე ივლის ადამიანი და რაღა უნდა გავუმტყუნოთ ჭიათურლებს, თუ ისინი კლდე-ღრეში გადაჩეხას ფორთხვას არჩევენ! ამის შემდეგ რათ გაგიკვირდება, მკითხველო, თუ ჭიათურის დემოკრატიულ საბჭოს დღემდინ არც სკოლაზე უზრუნვია, არც აბანოზე, არც საავათმყოფოზე, როგორც ბ. ნა—ლი გვაუწყებს, საკვირველი ის არის, რომ ამაზე ბ. ნა—ლი ლაპარაკობს და წერს, თითქოს დღეს დაენახოს: იმედია, მალე ამავე საკნებზე ბ. ნა—ლი ვიჩიც დაიწყებს კორესპონდენციების გზავნას და ჩვენც მაშინ დაეუბრუნდებით დაწვრილებით გარჩევას, ახლა კი შეგვიძლია სიამოვნებით მოვისმინოთ ბ. ნა—ლის სიტყვები: ეს მომავალი მოქმედების მცირეოდენი თავდები მაინცაა, რადგან კრიტიკა, და მერე თავის თავის, გასწორების შესაძლებლობის მაჩვენებელია. კეთილი იყოს!..

* * *

სულ წინააღმდეგს წარმოადგენს ჩვენი გაევროპიელებული ბათომი. რაც ხანი გადის და გგონია ქალაქი ასაკში ემართება მით უფრო და უფრო საჯაყი საქმე სწორეთ ისე, როგორც ერთგვარ ცხოველს, რომელსაც დრო და გამოცდილება გონებრივ ზიანს აძლევს. გავიხსენოთ მარტო მისი სანიტარული პირობები, რომელიც ჭირის შიშმა გამოააშკარავა და სადეზინფექციო კამერის ქვაბის ამბავი. როცა მოუპატიჟებელი სტუმრის შეხვედრაზე სათათბიროთ შეიყარენ რჩეულნი ამა სოფლისა, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი თავის ადგილას არის, ყველაფერი მზათ არის, ოღონდ ქვაბი გაპარვიათ და მის შეძენას მხოლოთ ორი-სამი თვე დაჭირდებოდა. ალბათ ეს გაიგო იმ რაინდმა ჭირმა და მოუმზადებელ მტერზე თავდასხმა არ იკადრა, თორემ შენი მტერია, ბათომელებს დღე დაადგებოდა.

სხვა-და-სხვა ამბები.

დღეს, დილის 11 საათზე, დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების კრების გაგრძელება.

—

1 ნოემბერს დაიწყო სწავლა თფილისის საბაღოსნო სკოლაში. სულ 44 მოსწავლეა, მათში 11 ახალი მიღებული.

—

თფილისის სავაჭრო სკოლა, რომელიც მალე უნდა გაიხსნას, პირველ ხანებში მოთავსდება კომერციულ სასწავლებლის შენობაში. ამ თვით იქნება მოსამზადებელი და პირველი კლასები პარალელებით. მიიღებენ 150 მოსწავლეს. სწავლის ფული უნდათ დააწესონ 80 მან.

—

სამთო მმართველობას მოუთხოვია „ჩათმის“ ამხანაგობისათვის, რომ მუშაობის დაწყებამდინ მუშებისათვის რიგიანი ბინები მოაწყოს, რადგან ამხანაგობის ნაეთიანი ადგილები მეტათ ცუდი საცხოვრებელია.

—

ბ. გ. ღუდუშაურს გამოუგონია ახალი მანქანა, რომელიც თითონ გადაბამს ვაგონებს (самодѣйствующая сцѣпка вагоновъ) და წარუდგენია პრივილეგიის გამოსათხოვათ.

—

„შრომის ბიურო“ თხოვს ქალაქის მმართველობას შემწეობას, რათა თავისი მოქმედების გაფართოება შეიძლოს.

—

ბაქოში დაიწყო ხმოსნების არჩევა. პირველი არჩევნები მოხდა 29 ოქტომბერს. ასარჩევი იყო სულ 80 ხმოსანი და 16 კანდიდატი. თანახმათ კანონისა შესაძლებელია არა ქრისტიანთაგან მხოლოთ ხმოსნების ნახევარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვის არჩევა, ე. ი. 40. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 560-მდე კაცმა. არჩეულ იქმნა მხოლოთ 32 ხმოს.

—

განზრახვა აქვთ დააარსონ «თფილისის გუბ. შესწავლის მოყვარეთა საზოგადოება», რომელსაც მიზნათ ექნება ხელი შეუწყოს გუბერნიის ყოველი მხრით მეცნიერულათ შესწავლას, მოაწყოს ექსკურსიები მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის, შემწეობა აღმოუჩინოს მეცნიერ მოგზაურთ და სხვ. საჭირო ნებართვის გამოთხოვის შუამდგომლობა უკისრ ა ბ. ვ. ვ. რადულოვიჩს.

—

განზრახვა აქვთ კავკასიის საიუბილეო გამოფენა მომავალი წლის გაზაფხულზე კელავ გახსნან, რადგან ერთი მხრით წლევანდელი გამოფენა 20 ათას მან. მეტს უქადის ზარალს კომისარიატს და იმედი აქვთ მისი შევსების; მეორე მოსაზრებაც ის არის, რომ ეს გამოფენა, როგორც ნაჩქარევი, ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას კავკასიაზე და საჭიროა შეიესოს, თან იგი ისეთ უხერხულ დროს იყო გამართული, რომ პროვინციელებს არ შეეძლოთ მისი დათვალიერება.

—

ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლათ დანიშნულ იქნა პოლკოვნიკი სმაგინი.

—

26 ოქტომბერს დასრულდა მეღვინე-მევენახეთა კრება.

—

მიწათმოქმედების სამინისტროს მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვაში შეუტანია კრედიტი ამიერ-კავკასიაში ახალის სამეურნეო სკოლების დასაარსებლათ.

—

ტეხნიკური საზოგადოება გახსნის 4 ნოემბრიდან კურსებს მუშებისათვის. სწავლის ფასი, როგორც ამბობენ, ძალიან მცირე იქნება.

—

18 ნოემბერს შედგება პირველი კრება თფილისის ნოქრების საზოგადოებისა.

—

აგვისტოს განმავლობაში ბათომისა და ფოთის ნავთსადგურებით გაუტანიათ საზღვარგარეთ 2.053,806 ფუთი მარგანეცი, 491,692 მან. ღირებულობისა; სექტემბერში კი—1.742,337 ფუთი, 415,511 მან.

კორესპონდენციები.

დ. ჩოხატაური (გურია), 21 ოქტომბერს დ. ჩოხატაურში უფასო საძმკითხველოს ჭქონდა კრება. ეს კრება შორეულია შვიდი წლის განძვალობაში. კრებამ გასინილა ძეძლეგი საგნები: 1) აირჩიეს ასალი გამგე ბ. ს. რამაშვილი, - ბ. კ. მგელაძის ადგილას, ეს უკანასკნელი, როგორც ადმოჩნდა, დაძტკეცებული არ ეოფილა; ახლა თავისი შორით ადიარა, რომ მე ჩემი სურვილით ძოვიდე სელი და შორადი ჩემი სურვილებისამებრ კასრულებდი ამ ძოვალეობას, რისთვისაც დიდ ძადლობას უნდა ძწირავდეთო... 2) კრებამ აირჩია სამი კაცი; ესენი ერისთავი, ბენიაძე ჩხიკვიშვილი და ძაქსიძე ციხეცამე სარეგიზიო კომისიის წევრებათ. ამათ უნდა წარძოუდგინონ კრებას შემდეგი ცნობები: რა მდგომარეობაში იყო საძკითხველო ბ. კ. მგელაძის სელში (ეგრეთ წოდებული გამგის ძოადგილის დროს) რა შეუძენია, ან დაუკარგავს საძკითხველოს დარსებიდან დღემდე. რა საბუთით თხოულობს ბ. კ. მგელაძე მადლობის გამოცხადებას. დიდათ დაეკვალებენ ბბ. რევიზორები, თუ ამ ანგარიშს დროზედ მოგვწვდიან, რადგან საძკითხველო ერთობ ცუდ მდგომარეობაშია და დროა გეფიქროთ მისი გაუმჯობესობაზე...

ან. ულენტი.

საქ. ტიხოლეცკაია. არა ერთხელ იყო გამოქვეყნებული ჩვენ ყურნალ-გაზეთებში, რა უნუგეშო მდგომარეობაში არის ჩაყენებული საძშობლოდან მოწყვეტილი მოსამსახურეები. დიდი სანია თავალ ეურს ვადევნებ და შესწავლილი მაქვს ჩვენი ადგილანდელი მოსამსახურეების და დამქირავებელი ქართველი მებუფეტეების მოქმედება. საძწუხაროთ მიგვაჩნია ბუფეტჩაგების სულის სიმდაბლე, რომლებიც უკანასკნელ კაჭეგს ატლიან ჯიბიდან ჩვენ ისევაც დაბეჩავებულ მოსამსახურეებს. ვანა, შეიძლება იმსახურონ პატიოსნათ ვინც უნდა იყოს იმ პირობით, რასაც მოსამსახურეებს თხოვენ. რასაკვირველია, არა და თუ მოსამსახურეები ურიგოთ ეძლევა იმ საზოგადოებას, რომელსაც მსახურობს, ამის თავი ძალზე დაქირავებლებია და არა მოსამსახურეები. მაგალითათ სად. ტიხარეცკის ბუფეტჩაგს შემდეგი წესები აქვს შემოღებული მოსამსახურეებისთვის, 1, გრაფინაში წყალი გამოიცალა და ვერ შესამსა მოსამსახურემ, — თითოზე თითო მანეთია ჯარიმა; ლამპარ აიწია და იბოდა — თითო მანეთი ჯარიმა. რაც ჭურჭელი გატეხდება ან დაიკარგება ოთვლდეს ასდენინებს მოსამსახურეებს მეტს ფასს, ვიდრე საქონელი ღირს; მაგალითათ 1 ფუთი დასა-ხახვალი ფრაფასა 3 მ. 1 სტოლის კოვზი 120 გ. ლუდის ბაკალი 50 გ. ღვინის ბაკალი 30 გ. ოეფში 50 გ. ბატარა თეფში 30 გ. ჩაი ორერ ბუფეტჩიკები ასობით ქრთამს დასარჯვენ და შემას ხაშრომს არ მიცემენ. ბასუსი იციან-- „წადი სულში ძიჩავლეო“. მკითხველიც მისვდება რა ძნელია საძართლის მოპოება ღარიბისთვის და უტოდინარისთვის? ოთხი რაც რვინის გზის ძმართველობის მიერ პირობაში უწერიათ 10—12 პუნქტში იმასაც ადარ ამლევენ მოსამსახურეებს და ამაებს ზეკით კიდევ მოსამსახურეებს თხოვენ ამ პირობას, რის კოპიოსაც თქვენ გიგზავნი, ქალბატონო რედაქტორო! საკირო ამ გარეშოებას უურადღება მიექცეს და ასეთი ცარცვა-გლეჯის წინააღმდეგ წესებს შეიტანდეს 1902 წლის პირობაში ბუფეტჩაგებზე.

ლავრენტი დუმბაძე.

რუსეთის ცხოვრება.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს (იურიდიული ფაკულტეტის) რექტორმა ხება დართო, შეადგინონ წრეები, რომელშიაც უნდა იყოს თორმეტ-თორმეტი კაცი პროფესორის მოსაწილეობით. სტუდენტები ამ წრეებში მოემზადებიან პრაქტიკულათ სავალო საქმეებში.

— გასხრასვა აქვთ შეტვალონ წესი სატესაღოში ტუსაღების ცალ-ცალკე დაძწყვეტეისა. ასალი პროექტით ცალკე ოთახში უნდა დაძწყვეტონ უპირველესთ ის ტუსაღები, რომელთა საქმეც გამოძიებაშია და რომელნიც 17 წელზე უფროსნი არიან. თუ თავის უფალი ოთახები არის, ცალკე დაძწყვეტენ აგრეთვე, ძათ ვინც 17 წელზე უფროსნი და 25—ნაკლებნი არიან და გადაწყვეტილი აქვთ ძოელ ვადით დაჭერა. დაძწყვეტენ ცალკე ამათ აგრეთვე, რომელნიც ცუდი ოფოვა-ქცევისანი არიან და ცუდგავლენას იქონიებენ სხვა ტუსაღებზე.

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ბრემია დანიშნოს, ქარხნებში მომუშავე ბავშვებზე მუშაობის გაკეთების გამოკვლევისათვის.

— საერო განათლების სამინისტრომ მიიღო რამდენიმე პროექტი სხვა-და-სხვა ბერთაგან შესახებ თვითგანვითარების წრეების დაარსებისა, შესახებ მატერიალური დონისძიების გაფართოვებისა სკოლების შესანახათ და სასწავლებელთა და მშობელთა დაკავშირების საქმის მოწყობისა.

— კითხვა შესახებ სკოლების საკალდებულო განსნისა დიდ ფაბრიკებში და სამთამადნო ქარხნებში მომუშავეთა შვილებისათვის განსილულ იქნება სხვა-და-სხვა სამინისტროს წარმომადგენელთაგან შემდგარ განსაკუთრებულ კომისიის მიერ.

— 21 ოქტომბერს მოხდა მეოცდაერთე კრება მექანიკურ წარმოებათა მუშებისა. ამ კრებაზე ლაპარაკობდენ შესახებ საკაკრო მომხმარებელ საზოგადოებების დაარსებისა. როგორც უმრავლესობამ გადაწყვიტა, საზოგადოების წევრებათ შეუძლიათ იყონ ქალებიც. განზრახული საზოგადოების წევრათ კრებაზეკე უკვე ჩაწერა 500 მუშა.

— ახალი წლიდან პეტერბურგში გამოვა ახალი ყურნალი ბრძათათვის საკითხები. ყურნალი დაიბეჭდება გამობერილი ასოებით.

— საერო განათლების სამინისტრომ სპეციალურ კურსების გახსნის შესახებ გამოაცხადა, რომ იმ პირებს, რომელნიც მოინდომებენ ბულგალტერიის კერძო კურსების გახსნას, მოეთხოვებათ იგივე, რაც დადგენილია კომერციულ სასწავლებლის სპეციალურ ბულგალტერიის კურსების შტატის მასწავლებლებისთვისო. იმათ ვინც მოისურვებს უცხო ენათა, კალიგრაფიის სატვის და სხვ. კურსების დაარსებას, უნდა ჰქონდეთ უფლება ამ საგნების სწავლებისა ზემოხსენებულ სამინისტროს სასწავლებლებში.

— განზრახვა აქვთ, რუსეთის უკანა სტუსალოებში საკალდებულო მუშაობა შემოიღონ. მუშაობიდან თავისუფალი იქნებიან მხოლოთ ავათმოფენი და ერთ თვეზე ნაკლები ვადით დატუსაღებულნი.

— პეტერბურგის ბირკელი გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლეებს მიტეს ნება ყურნალის გამოტემისა. ყურნალს ეწოდება «Утро» (დილა) თანამშრომლებია მოსწავლეები. ბირველი ნომერი უკვე გამოვიდა.

საზღვარგარეთ.

საფრანგეთი. როგორც „Frank. Zeit.“-ის ბარიელი კორესპონდენტი იუწყება ლუბე აბირებს რუსეთში ჩამოსვლას მომავალი წლის თებათვეში.

მუშათა გონიერ მოქმედებას მთავრობა და ბარლამენტიც სიამოვნებით მიეგება. მთავრობამ აღიარა, რომ ეკეკლიკე ის. რასაც მუშები ითხოვდენ, კანონიერი იყო და ამიტომ გამოუცხადა: გეცდებით თქვენი თხოვნა დაკმაყოფილოთ, რამდენათაც კი შესაძლებელი იქნებაო. ამის მომსრეა თვით ვალდეკ-რუსსო, რომელიც აქამდინ მთა-მადნის მუშების წინააღმდეგი იყო. მინისტრმა ბოდენმა უკვე დაამზადა კანონპროექტი მთამადნის მუშათა საპენსიონო კასის შესახებ და მოკლე დროში დაამზადებს მეორე კანონპროექტს მთამადნის გვერბებში სამუშაო დროს შემოკლების შესახებ. ამგვარათვე მოქმედობს მუშათა სასარგებლოთ ბრომის კომისია ბარლამენტში. არდენის დეპარტამენტის დეპუტატმა ბარრომ ბალატაში პროექტი წარადგინა საპენსიონო კასის შესახებ, სადაც ბარრომ გამოანგარიშებით თითო მუშას, რომელსაც ბენსია დაჭმესახურებია, წელიწადში უნდა ეძლეოდეს არა ნაკლებ 576 ფრანკისა.

— მინისტრთა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე საბოლოოთ შეიმუშავა მთამადნის მუშათა საპენსიო კასის პროექტი. ამ პროექტით იმ მუშათ, რომელთაც 1894 წლის კანონით უფლება აქვთ პენსიის მიღებისა, ასევე უნდა დაენიშნოთ ი ი - წლიურათ 300 ფრანკი. ამ მიზნით სახელმწიფო საზიანამ წლიურათ უნდა გაიღოს 5 მილიონი ფრანკი. ამასთანავე მოემატება, როგორც მწარმოებელთა ხელრ შესატანს, ისე მუშათა ჯამაგირიდან გამოსარიცხს.

ოსმალეთი. საფრანგეთსა და ოსმალეთ შუა ჩამოკარდნილი განსეთქილება შეიძლება დამთავრებულათ ჩაითვლოს. ოსმალეთი დათანხმდა ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. და ახლა ოსმალეთის წყლებში საფრანგეთის ესკადრა მხოლოთ დაპირებათა განხორციელების დაწყებას ელის.

— ოსმალეთში, როგორც ვიცით, ახალი პარტია აღმოცენდა, რომელიც თანამედროვე რეჟიმის წინააღმდეგია და უმთავრესათ, იძულებულია, საზღვარ გარეთიდან იმოქმედონ. თვით ოსმალეთში ახალგაზდა ოსმალები თავდაპირველათ ბრესის თავისუფლებას თხოულობენ. ეს დასი ამბობს: «ისეთი თავისუფლება, როგორიც ევროპაშია, არ გვინდა. ჩვენ მარტო იმასა ვთხოულობთ, რომ ასეთი სასტიკი ცენზურა ნუ იქნება. ჩვენი ცენზურა წრეს გადადის, ნამეტანს ჩადისო, უცხოეთის გაზეთებიდანაც კი არ გვათარგმნინებს ამბებსაო. ცენზურის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ ჩვენი ცენზურა ცენზურა კი არაა, რაღაც ღვთის რისხვაა. ცენზურები რაც უნდა იმას ჩადიან. ხან-და-ხან ზოგიერთ სულ უბრალო წერილს წაშლიან სოლმე. იმის მაგივრათ, რომ ორიოდე სიტყვა ამოშალოს, ცენზორი მთელ წერილს იჭერსო და სხვ.

ჩინეთი. ახლათ გარდაცვალებული ჩინეთის გამოჩენილი დიპლომატი ლი-ხუნ-ჩანგი დაიბადა 1823 წ. მამა მისი იყო ღარიბი ნასწავლი კაცი და შვილს მიაღებინა საუცხოო განათლება ქ. სიანლინის აკადემიაში. 1861 წელს ლი-ხუნ-ჩანგი დანიშნა სოლქო მოსამართლეთ ბეკინგში და შემდეგ გუბერნატორათ ტზიან-სუს პროვინციაში. 1864 წელს დანიშნა ის გენერალ-გუბერნატორათ. 1872 წელს დანიშნა სახელმწიფოს კანცლერათ და განაგებდა დიპლომატიას. შემდეგში დანიშნეს ჩეილის ვიცე-კოროლის თანამდებობაზე და აგრეთვე ჩრდილოეთ პროვინციების კაცრობის საქმეთ განაგებდა. ძალ დიდი გავლენა ჰქონდა ჩინეთის მთავრობაზე, ხელს უწყობდა ევროპიელებთან ვაჭრობის განვითარებას და დახლოებას. მისი მეცადინეობით ჩინეთის ჯარი შეიარაღებულ იქმნა ევროპიული იარაღით, გაუკეთეს სომალდები ევროპიულ გეგმაზე, გამოიწვიეს ევროპიდან ჯარის გასაწვრთნელათ ინსტრუქტორები, ინჟინერები და გაამაგრეს მათის ხელმძღვანელობით ზღვის პირის სიმაგრენი. მისის მეცადინეობით გაიკვანეს პირველათ ტელეგრაფი შანხაისა და ტიანძინ შუა, მანვე დააარსა ჩინეთის ბეგთა მიმოსვლის საზოგადოება, რითაც დიდი კონკურენტი გაუწია ინგლისის ბეგებს. მისივე მეცადინეობით გაუკანონდა იქმსა ჩინეთში პირველათ რკინის გზები და სხვ. ყველა ამ რეფორმების შემოღებით ლი-ხუნ-ჩანგმა აიგიდა მტრათ ჩინეთის ნაციონალ-რევოლიუციონერების დასი. ამ დასმა ისარგებლა იაპონიასთან ომში ჩინეთის დამარცხებით, ყველა ეს მიაწერეს ლი-ხუნ-ჩანგს და ის დასასჯელათ გაგზავნილ იქმნა პროვინციაში, მაგრამ როდესაც ჩინეთის მთავრობას გაუჭირდა მაგრ გამოიწვიეს პროვინციიდან და მიანდეს მოლაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკება იაპონიასთან ზავის შესახებ. იაპონიაში ერთმა ფანატიკოსმა იაპონელმა ის დაჭრა სახეში, მაგრამ ლიუნჩანგს ამან არ დაუშალა და მან ჩინეთისათვის სასარგებლო პირობებით გაათავა დიპლომატიური მოლაპარაკება იაპონიასთან; ამის შემდეგ ის ისევ კანტონათ იქმნა დანიშნული. 1896 წელს ის ჩამოვიდა რუსეთში, როგორც ბოგდიხანის წარმომადგენელი სელწიფის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლათ. აქედან ის გაემგზავრა ევროპაში და შემდეგ ამერიკაში. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ის დანიშნულ იქმნა გარეშე საქმეთა მინისტრათ, მაგრამ ამ დროს ისე გაძლიერებული იყო ჩინეთის სასასჯელში რეაქციონელი დასი, რომ ლიუნჩანგის გაკლენა ნაკლებათ ეტყობოდა სასელწიფოს გარეშე საქმეებს, რამაც ჩინეთი მიიყვანა მარშანდელ ომამდე ევროპის სასელმწიფოებთან. 1899 წელს ის ჯადუკანად იქმნა კანონში გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე, მაგრამ როდესაც ევროპიელთა ჯარმა განსაცდელში ჩააგონა ჩინეთი, ის კვლავ მიიწვიეს ევროპის სელწიფოებთან მოსალაპარაკებლათ და ლიუნ-ჩანგმა, მართლაც, როგორც ვიცით, გაათავა ეს საქმე მშვიდობიანათ.

სამხრეთ-აფრიკა. 22 ოქტომბერს ლონდონში მიიღეს შემდეგი ტელეგრამა კაპშტადან: «ბურების გენერალმა ლეი ბოტამ მოწერა ინგლისის ჯარის მთავარსარდალს კიტჩენერს, ამას წინანდელ, რომ ინგლისელი ოფიცერი დაუბრუნებეთ ტყვეთ, ეს პასუხი იყო თქვენ მიერ ჩვენი ჯარის სარდლობის სიკეთეთ დასაჯასა. ამისთანა ზომები შემდეგშიც გამოერდებაო“.

წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

წარსულ კვირას, 28 ოქტომბერს მოხდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. ჩვეულებრივზე წინააღმდეგ წევრები იმდენი დაესწრენ, რომ დარბაზში ტევა აღარ იყო. სხდომა დაიწყო თორმეტ საათზე ბ-ნი ნ. ცხვეთაძის თავმჯდომარეობით. ჯერ დამტკიცებულ იქმნა გასული წლის კრების ოქმი, ამის შემდეგ მდივანმა წაიკითხა სარევიზიო კომისიის მოხსენება, საიდანაც ეტყობილობთ გამგეობის მრავალ ნაკლულევანებას: გარდა ფულის ანგარიშის სისწორით შედგენისა გამგეობას თითქმის არაფერი არ უკეთებია, მუზეუმისათვის საკუთარი შენობის აგების შესახებ მას არაფერი უზრუნავს, გამგეობის ერთი წევრი ბ. ი. აბაშიძე მთელი წლის განმავლობაში ვერ დასწრებია კრებებს სამსახურისა გამო და გამგეობას მის ნაცვლათ კანდიდატი ერთხელაც არ მოუწვევია. მას არ დაუთვალიერებია არც ერთხელ სახალხო ბიბლიოთეკები, მას არაფერი ზომები უხმარია საწევრო ფულის შესაკრებლათ, მას არ უზრუნავს საკვირაო სკოლების გამრავლების შესახებ, მას არ უზრუნავს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სასურველ ნიადაგზე დაყენებისათვის და სხვ. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ღულაძემ იკითხა, რა მიზეზია, რომ გამგეობა არა ბეჭდავს ანგარიშთან ერთათ სარევიზიო კომისიის მოხსენებასაც. მცირეოდენი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: შემდეგი წლიდან სარევიზიო კომისიის მოხსენებაც იბეჭდებოდესო.

შემდეგ ბ. სურგულაძემ მიაქცია კრების ყურადღება იმ გარემოებას, რომ კავკავის სკოლის გამგებლობა სრულებით გარეშე პირს აბარია; ეს არა ნორმალური მოვლენაა, სკოლისათვის დიდათ საზიანო და ამიტომ გამგებლობა სკოლისავე უფროს მასწავლებელს უნდა ჩაბარდესო, დაბოლოოა ბ-მა სურგულაძემ. ამ შენიშვნამ დიდი კამათი გამოიწვია; გაცხარებული მსჯელობის შემდეგ ეს საკითხი ისევ გამოურკვეველი დარჩა. გაცხარებული მსჯელობა და თავმჯდომარის ზარა ერთმანეთში იყო არეული. შემდეგ ბ. დეკანოზიშვილმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ბათუმის სკოლაში ორასზე მეტი მოსწავლეა და მასწავლებელი კიმოლოთ ორი. ბ. დეკანოზიშვილთან ერთათ მოლაპარაკეთა უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ საჭიროა ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებლის მოწვევა, რაზედაც ბ-ნმა თავმჯდომარემ შენიშნა: ფული არა გვაქვ და ამიტომ მესამე მასწავლებელსაც ვერ მოვიწვევთ, ამდენი ყმაწვილი სკოლაში არ უნდა მიეღოთო. ამის შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა ქართული ენის პროგრამის შესახებ. ბ-ნმა სურგულაძემ აღნიშნა: დღემდე ქართულ ენას სრულებით უპროგრამოთ ასწავლიან და მთელი წელიწადი ერთ კლასში საბასულხან-ორბელიანის არაკებს გადიან და ვეფხის ტყაოსანს ასწავლიან იმ კლასში, რომელშიაც ის ზარალის მეტს არაფერს მიიტანსო. ამ აზრის წინააღმდეგი იყო ბ-ნი თაყაიშვილი, რომელმაც განაცხადა: სათავად-აზნაურო სკოლებში ქართული ენის პროგრამა არსებობს და ჩვენ ნება გვაქვს მხოლოთ ის წიგნები ვასწავლოთ, რაც ნებადართულია. აღიძრა აგრეთვე საკითხი საკვირაო სკოლებისა და საღამოს კურსების დაარსების შესახებ, რაზედაც ბ-ნმა თავმჯდომარემ შენიშნა, თუ თვით მასწავლებლებმა არ ითავეს ეს საქმე, გამგეობის ყოველი მეცადინეობა აქ ფუჭი იქნებაო. ბ-ნმა სურგულაძემ არა ნორმალურათ ჩათვალა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორის მოქმედება,—ის თურმე პირველ გაკვეთილს არ ესწრება. ამის შესახებ ბ-ნმა ცხვეთაძემ აუწყა საზოგადოებას, ჩვენ როდესაც ბ-ნი ოცხელი მივიწვიეთ ინსპექტორათ, მას პირობათ დავუდეთ პანსიონის მიტევება და, თუ არ აღასრულა, მაშინ იძულებული ვიქნებით, დავითხოვოთო. ლაპარაკი იყო აღძრული სკოლებისათვის საკუთარი რევიზორის მოწვევის შესახებ. ბ-ნი ღულაძისა და ზოგიერთა მოსაზრებით რევიზორისა და საწევრო ფულის ამკრეფის მოვალეობა ერთ პირში უნდა იყოს შეერთებული. თავმჯდომარემ განაცხადა: რევიზორის საჭიროებას ჩვენც კარგათ ვგრძნობთ, ვზრუნავთ კიდეც ამ კითხვის განსახორციელებლათ, მაგრამ ფული არა გვაქვსო. კრებამ დაადგინა: ამ კითხვის გადაწყვეტა გამგეობას მიენდოსო. დასასრულ ილაპარაკეს ფოტოგრაფიის შესახებ. ბევრი იმ აზრისა იყო, რომ რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია ფოტოგრაფიის რიგიანათ წაყვანა, ამიტომ იჯარით გავცეთო. ბ-ნმა თავმჯდომარემ ანუგეშა საზოგადოება და აუწყა: თუმცა აქამდინ ზარალი გვქონდა, მაგრამ ამ ორ თვეში იმისთანა ნიშნებს ვხედავ, რომ საქმე გამობრუნდებაო.

ფოტოგრაფიის ბუდიბლის გადაწყვეტაც გამგეობას მიანდო კრებამ.

კითხვა იყო აღძრული აგრეთვე წიგნების გამოცემის შესახებ. რადგანაც კრება საღამოს ხუთ საათამდე გაგრძელდა, ამიტომ ბ-ნმა თავმჯდომარემ კრება გადადვა დღეისათვის.

P. S. ახლანდელი გამგეობის დასახასიათებლათ საჭიროთ მიჩვეაჩნია, აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტი: იმ შენი-

შენაზე, რომ სკოლების რეკიზორებათ ინიშნებიან არა მასწავლებლები, მაგ. ბ. ზურაბიშვილი; უკანასკნელმა განაცხადა, რომ ის საანგარიშო წელს რევიზორათ არ ყოფილა. ანგარიშის 31 გვ. კი ვკითხულობთ: „საანგარიშო წელს სკოლა დაათვალიერეს გამგეობის მხრით ბბ. ზურაბიშვილმა, მიქაბერიძემ და სხვ. ბ. ზურაბიშვილი გაკვეთილებზედაც დაესწრო და კითხვებსაც აძლევდა მოსწავლეთ.

როცა გოგებაშვილმა გამოამჟღავნა კავკავის სკოლის ზოგიერთი უწესოებანი, ბ-ნმა ზურაბიშვილმა მიაძახა: ჭორიაო, და ამით გათავდა საქმე, მაშინ როდესაც საჭირო იყო, კრებაზედ გამორკვეულიყო, თუ სად იყო ჭორი და სად მართალი.

საშობლო ცხოვ.

დავიწყოთ სასიამოვნო ამბებიდან. ვის არ ესიამოვნება კაცობრიობის წინსვლა, იმის გრძნობათა და აზრთა აყვავება! სხვაგან არ ვიცი და თფილისში კი პროგრესმა უაღრეს წერტილამდე მიახწია. თვალებზე ცრემლები მოადგა, როდესაც წარსულ დღეებში წავიკითხე «პირუტყვთა მფარველ საზოგადოების» „ზაიავლენიე“ თფილისის ცხენის რკინის გზის გამგეობის მიმართ: რადგანაც ზამთარმა მოატანა და ცხენებსა სცივათ, ამიტომ ვთხოვთ გამგეობას ააშენოს მათთვის თავშესაფარი ვერის ხიდთან, სადაც იგი აჩერებს ხოლმე კონკისთვის ეაშველ ცხენებსო. აი სადამდის მიდის, ბატონებო, ჩვენი მზრუნველობა უტყველთადმი და რაღა თქმა უნდა, რომ მეტყველებისთვის მუდამ გაშლილი გვაქვს ხელი, მუდამ გაწედილი გვაქვს მკლავი ძმობისა და მეგობრობისა! დიახ, საგულისხმიერია ეს ფაქტი და საგულისხმიერია იმდენათ, რამდენათაც იგი გვაგონებს მეორე, უფრო შესანიშნავ ამბავს:

ასე გაზაფხულის პირზე თფილისის ქალაქის გამგეობამ ღარიბთა თავშესაფარიდან გამორეკა იქ შეფარებულნი და მიზეზი ამისა ის იყო, რომ გამგეობას თავშესაფარი უნდა გაეკეთებინა! გადის თვე, მეორე, მესაძე, მაგრამ თავშესაფარის კარები ისევ ისეა მიჯაჭვული, ხოლო თფილისის ქუჩებზე უმოწყალოთა ყრიან იქიდან განდევნილნი, ბედისგან მოძულებულნი. თურმე პატივცემულ გამგეობას სრულებით გადავიწყებია ამისთანა უმსიშვნელო საქმე უმნიშვნელო ხალხისათვის და მოგონდა მხოლოთ მაშინ, როდესაც ზემოხსენებულმა პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ მოითხოვა ცხენებისთვის თბილი ბინის აშენება!

მაშ ვმადლობდეთ ისევ „პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას“!

* * *

„მიდის მოდის გაბრიელი, არვინა ყავს მადლიერი“— აი სიტყვები, რომელიც უნდა დაიწეროს თფილისის ქართული თეატრის „ვიევსკაზე“. ძართლაცა და ვინა ყავს მადლიერი, დაწყებული თვით დრამატიულ გამგეობიდან? არტისტები გულნაკლულნი არიან მით, რომ სცენიდან პარტერში ხალხის მაგიერ სკამებს ელაპარაკებიან, საზოგადოება განაწყენებულია მით, რომ არტისტები, როგორც რიგია, ვერ არტისტობენ და გამგეობა კი ქვითინებს, რომ ჯიბეში „ბზინკ“ კი არა „ჩხინკ“ გამოდის! ასეა თუ ისე, ჩვენი გაბრიელი მაინც მიდის და მიდის; წარმოდგენები ისევ იმართება, არტისტები არც ფერს და არც ზნეს არ იცვლიან, და გამგეობა ისევ ბნეგავს. უწამლებელი აქ არა არის რა და ყველა ამას მოეპოვება წამალი, მხოლოთ, რასაკვირველია, ყველაფერს დრო უნდა. მაგრამ ერთი კი არის იმისთანა რამ, რომელიც დღესვე ჩვენ ხელშია და, მაშასადამე, შეგვიძლია კიდეც გავაკეთოთ. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენ თეატრს ჩვენი არისტოკრატია ძლიერ ნაკლებათა წყალობს, იქ დადიან უფრო წვრილი მოვაჭრენი, ხელოსნები და წვრილი ჩინოვნიკობა. მაშასადამე, უფრო ხელმოკლე და ღარიბი ხალხი. ქანდარაზე არას ვიტყვი, რადგანაც მას არასოდეს მუშტარი არ აკლია, ხოლო რაც შეეხება პარტერს, ის კი ყოველთვის, გარდა ზოგიერთ შემთხვევებისა, ცალიერია. და ეს ასე არ იქნებოდა, თუ იქ ბილეთების ფასი უფრო დაკლებული იყოს, ვიდრე ეხლაა. განა არ ჯობდა 70 კაპ. ბილეთი გაიყიდოს ათი ათ შაურათ (=5 მან.), ვიდრე გაიყიდოს ხუთი თოთხმეტ შაურათ (=3 მ. 50 კ.) და ასე დანარჩენ სკამების ფასიც ბედარებით იქნას დაკლებული?! ღარიბი კაცის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ერთსა და ორ შაურსაც და ამ ხალხში რომ დიდათ გაღვიძებულია სურვილი და სიყვარული ჩვენი თეატრისადმი, აძას მოწმობს ისიც, რომ, როგორც წინეთ მოგახსენეთ, ჩვენი თეატრის მუშტარი მხოლოთ მათგან შედგება. დეე, თეატრის პარტერში გამოჩნდეს დაკოჟრებული ხელები და სერთუკის მაგიერ ხალათი, ამით გამგეობა მოიგებს მატერიალურათ და ხალხი კი მით, რომ მიეცემა შეძლება უფრო ნაკლები მსხვერპლით მოიპოვოს სულის საზრდო. მოიგებენ არტისტებიც, რომელთაც ხალხთან ექნებათ საქმე და არა ცალიერ სკამებთან.

* * *

წარსულ კვირას, დიდი ლოდინის შემდეგ, მოხდა კრება «ქართველთა შორის წ.-კ. გამ. საზოგადოებისა». ბრძოლის მოედანზე გამოვიდა ერთი მხრით გამგეობა და მეორე მხრით ოპოზიცია. გამგეობა თავმჯდომარის ბ-ნ ნ. ცხვეთაძის წინამძღვრობით იცავდა ციხეს, რომელშიაც მომწყვდეული იყო წარსული ხლის ანგარიში. ოპოზიციამაც იქითკენ ბაძართა თავისი ზარბაზნები და შეიქნა ჭექა-ქუხილი. ადგა კორიანტელი სხვა-და-სხვა კითხვებისა. ბეინძრა ტახტი გამგეობისა, შეიკრა სასა ბისი წვერებისა და ყველა აძ ოორხტრიალში ბოისმოდა გამწარებული ხმა თავმჯდომარის ზარისა. ხოლო ბაყურებელთა წინაშე კი იშლებოდა შავ სუდარაში გამოხვეული «ამბები» და შესაფერ ელფერსაც დებდა გამგეობის მოქმედებას. ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით ყველა იმ კითხვებს, რომელნიც აღიძრა საზოგადო კრებაზე, მაგრამ გავიხსენებთ კი ძაინც ერთ საჯაყ საქმეს, როგორც დაბახასიათებელ ნიშანს იმ ყელში მოჯენილი ბრაზისას, რომელიც ველარ შეიკავა ერთმა გამგეობის წევრთაგანმა. სხვათა შორის კრებაზე ლაპარაკობდა ბ-ხი პეტრე სურგულაძეც და სხვა კითხვათა შორის იგი შეეხო ქუთაისის სკოლასაც და თფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელს. მან თქვა ორიოდ სიტყვა ქართული ენის პროგრამის შესახებ და კერძოთ ქუთაისის სასწავლებელზე ისიც, რომ ამ სასწავლებლის გამგე არ ესწრება არადროს პირველ გაკვეთილს, რაც საქმის რიგიანათ წაყვანას აფერხებსო. როგორც გამოირკვა, როგორც ერთი ისე მეორე შენიშვნა სრულიად კანონიერი და მართალი გამოდგა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გამგეობის წევრის ბ-ნ თაყაიშვილის აზრით არ უნდა ელაპარაკნა პ. სურგულაძეს ამ სასწავლებელზე; რადგანაც ეს უკანასკნელი ოდესღაც ამ სასწავლებელში მსახურებდა, მერე თავი დაანება და ამიტომ უხერხულია იმ დაწესებულებაზე ლაპარაკი, რომელსაც იგი მისდა უნებურათ ჩამოაშორესო. აქ ადგილი არა აქვს იმას, თუ რათ ჩამოაშორეს ბ. სურგულაძე ამ სასწავლებლებს. ეს თვით გამგეობის წევრებმა ყველაზე უფრო კარგათ იციან და შეიძლება ოდესმე აღინიშნოს ზემოხსენებული სასწავლებლების ისტორიაში, ხოლო ჩვენთვის ამ ჟამათ საგულისხმიეროა ის, თუ რა განზრახვით თქვა ბ-ნმა თაყაიშვილმა ზემოხსენებული სიტყვები. ნუ თუ მართლა არავის არ უნდა ქონდეს ნება (გარდა ქებისა) იმ დაწესებულებაზე ლაპარაკისა, რომელშიაც ის ოდესმე მსახურებდა! ეს ხომ იმისთანა აბსურდია, რომელზე ლაპარაკიც კი არ ღირს; და თუ ბ. სურგულაძეს აუკრძალა ბ-ნმა თაყაიშვილმა ის, რის უფლებაც ყველას უნდა ქონდეს, ეს მხოლოთ იმისთვის, რომ ეჭვი გამოეწვია საზოგადოებაში ბ. სურგულაძის სამართლიანობაზე. უფრო ნათლათ რომ ვთქვათ თაყაიშვილის სიტყვები, აი რა დასკვნა გამოდიოდა იქიდან: რადგანაც პ. სურგულაძე დაითხოვეს ზემოხსენებული სასწავლებლიდან, იგი განგებ აძაგებს ამ სასწავლებელს, იტყვის ტყუილს და იცრუებსო. მერე რა საბუთი ქონდა ან რა უფლება ბ-ნ თაყაიშვილს ამისთანა ეჭვი დაებადნა მსმენელთა შორის ბ-ნ სურგულაძეზე? ბ. სურგულაძე არავის პირადობას არ შეხებია და ლაპარაკობდა მხოლოთ პრინციპიალურ საქმეებზე. და თუ გამგეობას უნდოდა მისი პასუხის გაცემა, უნდა ეპასუხნა საქმეზევე ლაპარაკით და არა გადასულიყო ბ. სურგულაძის პირადობაზე. რიგოლეტო.

წერილები თიანეთიდან.

II.

რამდენათაც თიანეთის მაზრას ჯერ ნაკლებათ შეუთვისებია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ახალი ფორმები და, პირიქით, მტკიცეთ დაუცავს ძველისა; იმდენათვე ნაკლებათ შეუთვისებია მას ახალი ცხოვრებისზნე-ჩვეულებანი, ხოლო მტკიცეთ დაუცავს ძველებური. აქ მე ვეცდები ავუწერო მკითხველს მხოლოთ ის რამდენიმე საყურადღებო ჩვეულება, რომლებიც ცოტათ თუ ბევრათ დაახლოვებით გავიცანი. მაგრამ სანამ მათ აწერას შევუდგებოდე, საჭიროა შევნიშნო, რომ ეს ზნე-ჩვეულებანი დღეს უფრო მტკიცეთ მთის მცხოვრებლებშია დაცულ, ვინემ ბარის მცხოვრებლებში („ქართველებში", როგორც მთის მცხოვრებნი უწოდებენ მათ), მაგრამ ბევრი ის ზნე-ჩვეულება, რომლებსაც მთიულთა შორის ვხედავთ, ცოტათ თუ ბევრათ «ქართველებშიაც» გვხვდება. საფიქრებელია, რომ ერთ დროს ეს ზნე-ჩვეულებანი აქ თანაბრათ ეკუთვნოდა, როგორც მთის ხალხს, ისე «ქართველებს», მხოლოთ შემდეგ კი დროს განმავლობაში „ქართველებში" უფრო შესუსტდა ეს ზნე-ჩვეულებანი, მთის მცხოვრებთ კი უფრო მტკიცეთ შეერჩინეს. რასაკვირველია, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთიულთა ზოგიერთი ჩვეულებანი გადაიღეს და შეითვისეს ბარის მცხოვრებთ და პირიქით. დავიწყოთ ქორწინების ჩვეულებებიდან. ეს ჩვეულებანი, ერთათ რომ ავიღოთ, ერთნაირი აქვთ ფშაველთ და ქართველთ მცირეოდენი განსხვავებით. აქ ყმაწვილი კაცი ათასში ერთ ხელ თუ შეირთავს ქალს თავისი არჩევით, საზოგადოთ კი მშობლები აურჩევენ ხოლმე საცოლეს. ვაჟის მშობლები მიუგზავნიან ქალის პატრონებს შუაკაცებს (ორსამ კაცს) ქალის სათხოვნელათ. ქალის პატრონებს კიდეც რომ სურდეთ ვაჟი სასიძოთ, მაინც, ჩვეულების ძალით, უარს ეუბნებიან შუაკაცებს, წყრებიან და ილანძღებიან, როგორ გვიბედავენ ქალის თხოვასო, და ეს პროცედურა მეორდება რამდენჯერმე—ოთხჯერ-ხუთჯერ, ე. ი. შუაკაცები რამდენჯერმე უნდა მივიდენ ქალის პატრონებთან იმავე მიზნით და ამ უკანასკნელებმაც რამდენჯერმე უარი უნდა უთხრან. ბოლოს და ბოლოს შუაკაცები იცვლებიან და მაშინ კი მშობლები თანხმდებიან ქალის მიცემაზე. ამის შემდეგ ქართველებში შუაკაცები ქალს საჩუქარს მიუტანენ: ბაღდადს ან ქიშმირს, თავშალში გამოხვეულს. ნივთთან ერთათ უთუოთ უნდა იყოს ფულიც, რამდენიმე მანეთი. ამ საჩუქარს უწოდებენ «ბელგას». აქ საყურადღებოა, სხვათა შორის, რომ თუ ქალის პატრონებს ბელგა არ მოეწონათ, ამის გამო შეიძლება თვით ვაჟიც დაიწუნონ, ღარიბი ყოფილაო. ფშავლებში „ბელგა" არ იციან. აქ პირველათვე დანიშნავენ ქალს, მაგრამ ნივთით კი არა, არამედ ფულით—10 მანეთამდე.

ამ ბოლო დროს, შუაკაცების მაგივრათ, როგორც ქართველებში, ისე ფშავლებში, ხშირათ თვით სასიძო მიდის ქალის პატრონებთან მოსალაპარაკებლათ.

«ბელგას» შემდეგ ქართველებში ვაჟის მშობლებ-ნათესავები სამჯერ უნდა მივიდენ სარძლოსას: ერთხელ—«სანახავათ», მეორეჯერ «დასანიშნათ» და მესამეჯერ კი ჯვრის დასაწერათ. „სანახავათ" და „ნიშნობისათვის" მიდიან როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები ურმებით (ხშირათ ცხენებითაც) დაირა-მუსიკის კვრით და სიმღერით, ხოლო ჯვრის დასაწერათ კი მიდიან მარტო მამაკაცები ცხენებით და თან, რასაკვირველია, მღერიან მაყრულს. სამივე შემთხვევაში მიმსვლელთ თან მიაქვთ სხვა-და-სხვაგვარი ძღვენი: ცხვარი, ღვინო, არაყი და სხ. ნიშნობის დროს ამას გარდა ქალს საჩუქარიც უნდა მიუტანონ „ნიშნათ" (ბელგას მზგავსათ) ბაღდადი ან სხვა რამ ნივთი, ხოლო ჯვარის დაწერის ერთი კვირის წინ კი ვაჟის მშობლები ქალის პატრონებს ცოტაოდენი ძღვნით მიუგზავნიან შუაკაცს, რომელმაც უნდა შეატყობინოს უკანასკნელთ, თუ რა ხარჯს მიუტანენ მათ ვაჟის მშობლები საქორწილოთ, ან თვით ქორწილი როდის უნდა მოხდეს და სხვ. ამას უწოდებენ «შესაპირებელს». ხშირათ მოხდება, რომ ქალის პატრონი დაიწუნებს, იცოტავებს შეპირებულ ხარჯს და გაბრაზებული ლანძღვა-გინებით ისტუმრებს უკან შუაკაცს. ხან კი ჯვარის დასაწერათ მოსულ სამოყვრო ხალხს უცხადებენ უკმაყოფილებას ცოტა ხარჯის მოტანისათვის. - სამივე ჩვეულების დროს იციან ეგრეთ წოდებული «გადასალოცავი». თვითეული სტუმარი ვალდებულია ფული აჩუქოს სარძლოს. ამ ფულს კრებს ერთი კაცი, აწვდის სარძლოს და თან დაწვრილებით აცნობს მას ხმა-ბაღლა თვითეული მაჩუქებელის ვინაობას, რის გამოც ამ როლის ამსრულებელისათვის „მყეფარი" დაურქმევიათ. ასეთი ჩუქების შემწეობით საშუალო შეძლების ოჯახში სარძლო სამივე ჩვეულების ასრულების შემდეგ 15—20 თუმნამდე შეაგროვებს, სამაგიეროთ სარძლო ვალდებულია, რომ თვი-

თეულ წვეულების დროს ყველა სტუმრებს, რამდენიც უნდა იყონ, თუნდა ასიც, თითო წყვილი წინდა აჩუქოს. თუ მას წინდები არ ეყო ყველასათვის, ამით დიდათ შერცხვება...

სამივე ზემო აწერილი ჩვეულება აქვთ ფშავლებსაც შემდეგი განსხვავებით. ისინი სამივეჯერ ცხენებით მიდიან ქალისას, რადგან მათ მთებში ურემი თითქმის სულაც არ მუშაობს. მეორე ჩვეულების, ე. ი. ნიშნობის მაგივრათ მათ იციან «სახლის სანახავი» და ამ ჩვეულების დროს მათ არავითარი „ნიშნის“ მიტანა არ იციან, რადგან, როგორც ზევით დავინახეთ, ისინი ადრევე ნიშნავენ ქალს. სხვით «სახლის სანახავი» თითქმის არაფრით განირჩევა «ნიშნობისაგან». საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ როგორც „ქართველების“ „ნიშნობის“, ისე ფშავლების „სახლის სანახავის“ დროს გაცილებით მეტი სტუმრები ეწვევიან სარძლოს, ვინემ უბრალო სანახავის დროს. ფშავლებმა არ იციან არც «შესაპირებელი». დასასრულ ფშავლებში სამივე ჩვეულების ასრულების დროს ესწრება ხევის-ბერი (ძველებური მღვდელი, რომელსაც დეკანოზსაც უწოდებენ და რომელიც უბრალო ჩვეულებრივი გლეხია, ხალხისგან ამ თანამდებობაზე არჩეული); მის მოვალეობას შეადგენს მეფე-დედოფლისა და ყველა დამსწრეთა დალოცვა-დამწყალობება სადილის წინ სიტყვის წარმოთქმით, რომლის დროსაც ის იხსენიებს ხალხის წმინდანებს და გმირებს...

ვაჟი, როგორც ფშავლებში ისე «ქართველებში» არც „სანახავში“ მიყვება მშობლებ-ნათესავებს და არც ნიშნობაში (ანუ „სახლის სანახავში“); ეს ორივე ცერემონია ვაჟის დაუსწრებლათ ხდება. ის კი არა და, ვაჟს და მის საცოლეს უმეტეს შემთხვევაში სულაც ნახული არა ყავთ ერთმანეთი და პირველათ მხოლოთ ჯვარის წერის დროს ხედვენ ერთიმეორეს.

დიდათ საყურადღებოა შემდეგი ჩვეულება ფშავლებში, რომელიც ამ ბოლო დროს იშვიათათ-ღა შეგხვდებათ. პირველ ღამეს მეფე-დედოფალის დაწოლას ესწრებიან მდადე და ეგრ. წოდ. „ეჯიბი“, რომელიც მეჯვარეზე უფრო ახლო უდგას მეფეს და რომელიც ან მახლობელი ნათესავია მისი, ან გულის მეგობარი. დაწოლის შემდეგ კი მდადეც და ეჯიბიც შორდებიან მეფე-დედოფალს. მდადე იმ ღამეს წვება „ქალის ძმასთან“, რომელიც მეჯვარეთ ყავს დედოფალს და რომელიც მახლობელი ნათესავია მისი. ხოლო ეჯიბი კი მეორე დღეს დილით, როცა მეფე ადგება, წვება თვით პატარძალთან და რჩება იქ, სანამ სუფრა გაიმართებოდეს. ამბობენ, რომ არც მდადე და არც ეჯიბი ამ დაწოლის დროს არ იჭერენ ცოლ-ქმრულ კავშირს, ვისთანაც წვებიან.

ფშავლებში დღეს დამკვიდრებულია და კანონით განმტკიცებულია ერთ-ქორწინება (მონოგამია), ე. ი. ფშაველ კაცს ანუ ქალს კანონის ძალით შეუძლია იყოლიოს მხოლოთ ერთი ცოლი ანუ ერთი ქმარი. მაგრამ ჩვეულების ძალით კი ფშავლებში ხშირათ ადგილი აქვს მრავალქორწინებასაც, ანუ უკეთ მრავალცოლობას (პოლიგამიას). აქ ბევრგან შეგხვდებათ, რომ ფშაველს ორი ცოლი ყავს, ხანდახან კი, თუმც ძალიან იშვიათათ, შეიძლება სამიც ყავდეს. მეორე ცოლი ფშაველს უფრო იმ შემთხვევაში მოყავს (რასაკვირველია, არა-კანონიერათ), როცა კანონიერი ცოლი ან სრულიათ უშვილოა, ან-და ვაჟი არ მიცემია. ეს ჩვეულება ცხადი საბუთია იმის, რომ ერთ დროს ფშავლებში გამეფებული ყოფილა მრავალ-ცოლობა, რომლის უეჭველი ნაშთია იგი.

მრავალქორწინების გარდა, ჩვენ ფშავლებში კომუნალურ ქორწინების ნაშთებსაც ვხედავთ, რომლის დროსაც ყველა მამაკაცები თემში ქმრები იყვენ ყველა დედაკაცებისა. ასეთ ნაშთათ ჩაითვლება, სხვათა შორის, ზემოაწერილი ჩვეულება, რომლის ძალითაც მდადე „ქალის ძმასთან“ წვება, ხოლო ეჯიბი კი—თვით პატარძალთან. ეს ეჯიბის პატარძალთან დაწოლა უეჭველათ ნაშთი უნდა იყოს კომუნალურ ქორწინებისა. ამ ჩვეულების გარდა, სხვა საბუთებიც მოიძებნება ფშავლებში ძველათ კომუნალურ ქორწინების არსებობის მაჩვენებელი. როგორც ვიცით, კომუნალურ ქორწინებიდან განვითარდა ეგრ. წოდ. ჯგუფთა ქორწინება, რომლის დროსაც მამაკაცთა ჯგუფი ცოლ-ქმრულ კავშირს იჭერდა დედაკაცთა ჯგუფთან. აი, სწორეთ ამ ჯგუფთა ქორწინების ნაშთათ მიმაჩნია მე ფშავლებში ამ ჟამათ არსებული წაწლობის ჩვეულება. ეს ჩვეულება იმაში მდგომარეობს, რომ ერთ კაცს რამდენიმე „საყვარელი“ ქალი ყავს, ან კიდევ ერთ ქალს რამდენიმე „საყვარელი“ კაცი. ასეთ საყვარლებს ეწოდებათ «წაწლები». ხშირათ არის, რომ ერთ ქალს, მაგ., რამდენიმე „წაწალი“ კაცი ყავს, ხოლო თითეულ მის „წაწალს“, თავის მხრით, მის გარდა, კიდევ რამდენიმე სხვა წაწალი ქალი. წაწლებს უფლება აქვთ ერთად დაწვენ და თუმცა გვარწმუნებენ, რომ ისინი და-ძმებივით წვებიანო, რადგან «წაწლობა» მხოლოთ «და-ძმობას» ნიშნავს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, იმიტომ რომ „და-ძმობის“ ჩვეულება აქ „წაწლობისაგან“ დამოუკიდებლათ არსებობს, ეს სულ სხვა ჩვეულებაა: ქალი და ყმაწვილი და-ძმათ გაიფიცებიან ისე, როგორც ორი ყმაწვილი „ძმათ გაიფიცებიან“. და-ძმათ გაფიცვა, როგორც ძმათ გაფიცვაც, აქ ფორმალურათ ხდება: ერთ ჭიქა წითელ ღვინოში ჩაჭრიან ვერცხლს და შემდეგ ნახევარს ყმაწვილი დალევს, ნახევარს ქალი. ამის შემდეგ მათ ნამდვილ და-ძმათ მოაქვთ თავი. წაწლობისათვის კი არავითარი ასეთი ფორმალური განმტკიცება არ არსებობს. რაკი ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოეწონებათ, ამას ან პირდაპირ გამოუცხადებენ, ან-და რითმე, მაგალ. თვალით ანიშნებენ ერთმანეთს. ამას გარდა «წაწლობა» რომ მხოლოთ და-ძმობას ნიშნავდეს, მაშინ ძნელი გასაგებია, რა საჭიროება მოითხოვს წაწლების ერთად დაწოლას? ერთად დაწოლა ხომ უფრო ცოლ-ქმრობის დამახასიათებელი თვისებაა და არა და-ძმობის! ბოლოს წაწლობის შესახებ ისიც უნდა შევნიშნო, რომ წაწლები უთუოთ ერთ თემს *) უნდა ეკუთვნოდენ, მაშინ როდესაც ნამდვილი ცოლ-ქმარნი კი სხვა-და-სხვა თემიდან უნდა იყონ; ესეც იმას გვიჩვენებს, რომ წაწლობა ჯგუფთა ქორწინების ნაშთია, რადგან ასეთი ქორწინებაც მხოლოთ ერთ და იმავე თემის წევრებში არსებობს. ერთი სიტყვით, წაწლობის წარმოდგომა, ჩემი აზრით, ასე აი-

*) ფშავლებში „თემები“ ჯერ კიდევ დაცულია; თვითეულ თემს თავისი გვარი აქვს; აი ეს გვარები: გაბიტაური, ქისტაური, გოგოლაური, უბილაური და სხ... უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თემები დღეს უკვე საკმაოთ დაქსაქსულან და ერთი და იმავე თემის ნაწილები თქვენ სულ სხვა-და-სხვა ადგილას შეგხვდებათ, ერთმანეთისაგან ძალიან შორი შორს. ს. ჯ.

ხსნება: მას შემდეგ, რაც ჯგუფთა ქორწინება თემში თანდათან მოისპო და ერთმა თემმა მეორე თემიდან დაიწყო ცოლების მოყვანა, ამის შემდეგ ჯგუფთა ქორწინება მხოლოთ ჩვეულებათ-ღა დარჩა წაწლობის სახით. ჯგუფთა ქორწინება რომ ერთ დროს მართლაც არსებულა ფშაველებში, ამის საბუთათ, სხვათა შორის, ძმის ან ბიძაშვილის ცოლთან ე. ი. რძალთან დაწოლის ჩვეულებაც გამოდგება. ფშაველს არ შეუძლია თავის ცოლს გაყვეს ცოლეურში და თავის მაგივრათ ან ძმა, ან ბიძაშვილი უნდა გაატანოს; აი ამ ჩვეულების ასრულების დროს ქმრის ძმა ან ბიძაშვილი წვება თავის რძალთან მისი მშობლების სახლში. აგრეთვე ხატში ყოფნის დროს ქალი ქმართან კი არ წვება, არამედ მის ძმასთან, ან ბიძაშვილთან, ე. ი. თავის მაზლთან. თუ გავიხსენებთ, რომ ჯგუფთა ქორწინების დროს ძმების და ბიძაშვილების ჯგუფი იყო ქალთა ჯგუფის ქმრები, მივხვდებით, რომ მაზლთან რძლის დაწოლის ჩვეულებაც ნაშთია ჯგუფთა ქორწინებისა, რომელიც თავისი მხრით კომუნალურ ქორწინების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა.

დასასრულ ფშაველების ქორწინებრივ ჩვეულებათა შორის საყურადღებოა მოტაცებითი ქორწინება. როცა ვაჟს ქალის მშობლების მხრით უძლეველი რამ დაბრკოლება ეღობება წინ და ქალს კი სურს მისი გაყოლა, ვაჟი ძალათ იტაცებს მას. ხან კი ისეც მოხდება, რომ ქალის მშობლები ვაჟს თვითონ უწყობენ ხელს ქალის მოტაცებაში. ეს მაშინ მოხდება, როცა ქალს სხვა ყმაწვილი სურს საქმროთ. თუ რამდენათ გავრცელებულია აქ მოტაცებითი ქორწინება, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ნათლათ ჩანს, რომ აქაურ სასამართლოში ძალიან ხშირია საჩივარი ქალის მოტაცების თაობაზე.

აქ მეტი არ იქნება, მოვიხსენიოთ ორიოდე ქორწინებრივი ჩვეულება ხევსურებისაც, რომლებიც მე აქ ისე გაკვრით გავიცანი მხოლოთ. ხევსურები აკვანშივე «ნიშნაენენ» ქალ-ვაჟს, რომლებიც როცა გაიზრდებიან, უთუოთ ერთმანეთის ცოლ-ქმარი უნდა გახდენ. ხევსურს ბავშობიდანვე თავის ცოლათ მიაჩნია თვისი დანიშნული; მათში უკანასკნელ ხანებამდე ჯვრის წერა სულაც არ არსებობდა და როგორც კი დანიშნულები ჰასაკში მოვიდოდენ, კიდეც დაიწყებდენ ერმანეთთან ცოლ-ქმრულ კავშირის დაწყებას ჯვრის დაუწერავათ. ერთი ხევსურის დანიშნული რომ მეორემ წაიყვანოს ცოლათ, თუნდა ქალის შშობლების ნებართვითაც, პირველი მეორეს მოსისხლე მტრათ გადაექცევა, ისე დაუწყებს მას ცქერას, როგორც ცოლის მომტაცებელს და არ მოეშვება, სანამ შურს არ იძიებს მისგან, რასაც ხშირათ მომტაცებლის სიკვლილი მოჰყვება.—ამას გარდა ისიც აღსანიშნავია, რომ როცა ქმარი პირველათ შინ მიიყვანს ცოლს, ეს უკანასკნელი ერთხელ მაინც უთუოთ უნდა გაეპაროს ქმარს თავის სახლში, საიდანაც ხელ-მეორეთ უნდა წამოიყვანონ ქმრისას. ვინც ოთხჯერ-ხუთჯერ გაექცევა ქმარს, ის ყველაზე უფრო ყოჩაღია.

სევ. ჯ—ლი.

(დასასრული იქნება)

მე-XIX საუკუნის ბუნებისმეტყველების დედააზრი.

(დასასრული.—იხ. № 44).

ნივთიერების მოუსპობლობის კანონი არ შეიცავს ნივთიერებას მთელი თავისი თვისებებით. ნივთიერებაში სხვა-და-სხვა ძალებია, რომელთა გამომჟღავნებას ვეძახით მუშაობას. საზოგადოთ მუშაობა არის რაიმე წინააღმდეგობის დაძლევა. მაგალითათ, ჩვენ ვიტყვით: სახერხი მანქანა მუშაობსო, ეს იმას ნიშნავს, რომ ხერხი მოძრაობის დროს ძლევს ხის წინააღმდეგობას და აღღვევს მას. ადამიანს შეუძლია მუშაობა, მაშ მას აქვს ენერგია. ენერგია არის მუშაობის შეძლება. ენერგია სხვა-დასხვა ნაირია. ენერგია მექანიური, რომელიც იმარხება სხეულის მოძრაობაში, მაგალ., გასროლილი ქვის ენერგია. ენერგია სითბური, მაგალითათ, ორთქლისა; ენერგია ელექტრონული, მაგ., ლეიდენის ბანკის; ქიმიური ენერგია. ყოველი ენერგია ბუნებაში ორი სახით არის: კინეტიური და პოტენციალურით. კინეტიური ენერგია არის მოძრაობის ენერგია, ცხადი, გამომჟღავნებული. მაგალითათ, ქარის ენერგია, გასროლილი ქვის; პოტენციალური ენერგია არის მალული, უჩინარი, რომელსაც შეუძლია გამომჟღავნდეს. მაგალითათ, მოღუნულ ღეროში არის პოტენციალური ენერგია, რომელიც მაშინვე გამომჟღავნდება, რაკი გაუშვებთ ხელს; გაქიმულ რეზინაშიც პოტენციალური ენერგიაა. ქვანახშირი იცავს სითბურ ენერგიას პოტენციალური სახით. მართლაც, ვინ იცის, რამდენი ასი ათასი წლის წინეთ მცენარეს ჩაუნთქავს მზისგან მოცემული სითბო, შემდეგ მომკვდარა, გაქვავებულა და შენახულა დედამიწაში. პირველსავე შემთხვევაში ამ დაკრძალულ ენერგიას თქვენ უკანვე მიიღებთ სითბოს სახით.

უნებლიეთ იბადება კითხვა: რა დამოკიდებულებაა სხვა-და-სხვა გვარ ენერგიათა შორის? აქვთ მათ რაიმე საერთო, თუ არა? კარგათ ვიცით, რომ ხეხვა მექანიური მოქმედებაა, ხოლო ხეხვას შედეგათ მოყვება სითბო. ადამიანი ჯერ კიდევ ველური იყო, როცა ამ დაკვირვებით სარგებლობდა. ერთ ნაჭერ ხეს მეორეზე ხეხავდა და ამ ნაირათ აჩენდა ცეცხლს. აქედან აშკარაა, რომ მექანიური მოძრაობა იქცევა სითბოთ. ავიღოთ ახლა მანქანა. მანქანას ჩვენ ვამოძრავებთ სხვათა შორის ორთქლით, ორთქლის მისაღებათ კი ვაცხელებთ წყალს. ამისათვის საჭიროა სითბო, რომელსაც მივიღებთ ნახშირის დაწვით. წვა კი ქიმიური პროცესია. მაშ აქ ქიმიური პროცესი არის მოძრავი ძალის წყარო. აიღეთ კიდევ, ვთქვათ, წისქვილი. იმას აბრუნებს აღმართიდან წამოსული წყლის ძალა, ესე იგი მექანიური ძალა. მერე საიდან იშონა წყალმა ეს ძალა, ან რამ აიყვანა ის მაღალ ადგილზე, საიდანაც ქვევით მოექანება? იმაღე სითბომ. ეზის სხივებმა წყალი აქცია ორთქლათ, ორთქლი გადავიდა ხმელეთზე ჰაერის მოძრაობით, გაცივდა და შეიკრიბა მაღლობ ადგილებზე; ახლა აქედან წამოსულ წყალს კი აქვს მექანიური ენერგია, შეუძლია მექანიური მუშაობა. ამ ნაირათ სითბოს შემწეობით მივიღეთ მექანიური ძალა. მანქანის მოძრაობა ცოცხალ ორგანიზმსაც შეუძლია, ადამიანს, ცხენს, ხარს. აქ მექანიურ ძალას იძლევიან ამ ცხოველების კუნთები, ხოლო ცოცხალ არსებას მაშინ შეუძლია მოგვცეს კუნთების ძალა, როცა ის იკვებება და სუნთქავს. შეძენილი მასაზრდოებელი ნივთიერება მუშაობის დროს იხარ-

ჯება, რადგანაც ის უერთდება ჰაერთან ჩანასუთქ მჟავბადს. ამნაირათ კუნთების მუშაობა არის ქიმიური პროცესის შედეგი. გავიხსენოთ ახლა ტელეგრაფი. აქ ქიმიური პროცესი იწვევს ელექტრონულ ძალას, ხოლო უკანასკნელი მექანიურ მოძრაობას, რითაც სარგებლობს ადამიანი დეპეშების გადაცემაში. ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ერთგვარი ენერგიის დახარჯვა იწვევს მეორე გვარი ენერგიის გაჩენას, ე. ი. ერთგვარი ენერგია მეორეგვარ ენერგიათ იქცევა. რა ფარგლებში ხდება ეს გარდაქმნა? აქვს მას რაიმე საზომი თუ არა? აი ეს ძირითადი საკითხი გამოარკვია მე-XIX საუკუნემ. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში რუმფორდმა შენიშნა, რომ სპილენძის ზარბაზნის გამოხვრეტის დროს $2^1/_3$ საათში ვითარდება ისეთი სითბო, რომელსაც შეუძლია $26^1/_2$ გირვანქა წყლის ტემპერატურა ასწიოს ყინულის წერტილიდან დუღილის წერტილამდე. შემდეგ დევიმ მოახდინა ასეთი ცდა. აიღო ორი ნაჭერი ყინული გაყინვის წერტილის უფრო დაბალ ტემპერატურის დროს, ხეხა ერთმანეთზე და ნახა, რომ ამ ხეხვით შესაძლოა იმდენი სითბო მივიღოთ, რომ რაოდენათმე გავალხოთ ისინი. მოახდინეს ბევრი სხვა ცდაც, საიდანაც გამოაშკარავდა, რომ სითბოს აქვს მექანიური ეკვივალენტი, ე. ი. განსაზღვრული რაოდენობის მექანიური ძალა რომ დაიხარჯოს, ის წარმოშობს შესაფერი რაოდენობის სითბოს. ეს თანაბრობა – ეკვივალენტი—გამოიანგარიშა გასული საუკუნის მეორმოცე წლებში ერთმა გერმანელმა ექიმმა რობერტ მეიერმა. ის ამნაირათ მსჯელობდა: «ხშირათ ჩვენ ვხედავთ, რომ მოძრაობა ჩერდება, ამასთან არ იწვევს მეორე მოძრაობას და არც ტვირთის აწევას. შენიშნულია, რომ ბევრ შემთხვევაში გამქრალ მოძრაობის მაგიერ არ შეგვიძლია სხვა რაიმე მოქმედება ამოვაჩინოთ, გარდა სითბოსი; ამავე დროს კი მოძრაობის გარდა არა ფერია ისეთი ძალა, რომ მას მივაწეროთ სითბოს გაჩენა. რაკი ამ აზრს მივიღებთ, საჭიროა ვუპასუხოთ შემდეგ კითხვაზე: რამდენია ის სითბო, რომელიც უდრის მოძრაობას? სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვენ უნდა გავიგოთ, რა სიმაღლეზე უნდა ავიტანოთ განსაზღვრული წონის სიმძიმე, რომ მისი ჩამოვარდნის ძალამ გამოიწვიოს იმდენი სითბო, რამდენიც საჭიროა იმავე წონის წყლის ერთ გრადუსამდე გასათბობათ». მეიერმა კიდეც გამოიანგარიშა ეს სიმაღლე, მარა მისი რიცხვი არ იყო სრულიად სწორი; ინგლისელმა მეცნიერმა ჯოულმა უფრო სწორი რიცხვი მოგვცა. ამოჩნდა, რომ განსაზღვრული სიმძიმე, ჩამოვარდნილი 424 მეტრის სიმაღლიდან, აჩენს იმდენ სითბოს, რომელიც ამავე სიმძიმის წყალს ერთ გრადუს სითბოს უმატებს. ეს არის სითბოს მექანიური ეკვივალენტი. მაშ გამოვიანგარიშეთ სითბოს და მექანიური ენერგიის შორის არსებული თანაბრობა. ქიმიური პროცესები იწვევენ განსაზღვრული რაოდენობის სითბოს. რაკი სითბოს რაოდენობა გვეცოდინება, ადვილათ გამოვიანგარიშებთ ქიმიური პროცესის ეკვივალენტური, თანაბარი მოძრაობის ძალასაც. აქედან შეგვიძლია ქიმიური პროცესის ენერგია გავზომოთ მექანიური საზომით. ამნაირათვე შეგვიძლია მოვიქცეთ ბუნების სულ ყველა დანარჩენ ძალების შესახებაც. სულ ყველა ძალები მუშაობის მხრით ეთანაბრებიან მექანიურ ძალას. მაშ გამოდის, რომ არც ერთ მოვლენაში ძალა არ იკარგება. აქ მხოლოთ ერთი ძალა მეორეთ იცვლება. აი ეს არის ენერგიის შენახვის კანონი. ამ კანონის მიხედვით სამყარო შეიცავს განსაზღვრული რაოდენობის ენერგიას და არც მოიპოება ბუნებაში ისეთი პროცესი, რომელიც ან აკლებდეს ან უმატებდეს რასმე ამ ენერგიას. ეს ენერგიის რაოდენობა უცვლელათ ინახება, როგორც უცვლელია ნივთიერების რაოდენობა. ესა თუ ის ცვლილება ბუნებაში არის მხოლოთ ერთი სახის ენერგიის მეორე სახის ენერგიათ შეცვლა.

დასასრულ შევნიშნავთ, რომ ამ დიადმა კანონმა სამუდამოთ განაშორა ცრუმორწმუნეობა და მეცნიერება, სამუდამოთ დამარხა პირველი, ხოლო მეორე გაამაგრა, გარკვეულ ფარგლებში ჩააყენა და უთხრა: ყოველ მოვლენაში ეძიე, ესა თუ ის ენერგია საიდან გაჩნდა, ან რა იქნაო; გარდა ამისა სამუდამოთ მოსპო ყოველგვარი სასწაულების ჩარევა ბუნებრივ მოვლენებში. ყოველი სასწაულება მეცნიერებისათვის არის დარღვევა ენერგიის შენახვის კანონისა და ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს.

პ. ს—ძე.

ექიმთა კრების შესახებ *).

ამას წინეთ გამართული კავკასიის ექიმთა კრება ფრიად საყურადღებო იყო ჩვენი მხრისათვის. ბევრ საყურადღებო საგანთა შორის ექიმებმა დასვეს კითხვა, თუ რა სახის უნდა იყოს საზოგადო მეოჯახეობა, რომ ექიმობის მხრივ ხალხი ცოტაოდნათ დაკმაყოფილდეს. ექიმმა ნაზაროვმა ქუთაისის საექიმო საზოგადოების დავალებით წაიკითხა მოხსენება— «ერობის შემოღების საჭიროება ექიმობის მხრივ». ის საზოგადო ფული, რომელიც იკრიბება ხალხისაგან მისივე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, ორ ნაწილათ იხარჯება თვით რუსეთშიაც. შიდა გუბერნიებში შემოღებულია ერობა, ესე იგი საზოგადოებრივი წარმომადგენლობა, მაშასადამე აქ ხალხი თავისივე ფულს, თავისივე მოთხოვნილების და სურვილის შესაფერათ ხარჯავს. დანარჩენ გუბერნიებში მეფობს საზოგადო ოჯახობის ბიუროკრატიული ფორმა, ე. ი. აქ ხალხისაგან აღებულ ფულს ახმარებენ ამ ხალხს მოხელეები. ასეთივე საზოგადო ოჯახობის ფორმა არის ჩვენში. ბ. ნაზაროვმა შეადარა ეს ფორმა და ნათლათ დაგვანახვა, რომ დღევანდელი გაჭირვება ექიმობის მხრივ მხოლოთ მაშინ მოშორდება ხალხს, თუ ჩვენში შემოღებულ იქნება ერობა, უამისოთ გასაჭირის ვერავითარი ზომა ვერ აგვაშორებს. კრება სავსებით დაეთანხმა ამ აზრს და დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ჩვენში შემოღებულ იქნას საერობო დაწესებულებანი, მარა კრების გადაწყვეტილება ბოლოს ძალიან შეცვლილ იქმნა. უკანასკნელ სხდომაზე, კრების დახურვის წინეთ, როცა ბაასი აღარ შეიძლებოდა, მაშინ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კრების გადაწყვეტილება წარედგინება სათანადო მთავრობას ამ სახით: «კრება სასურველათ ცნობს, რომ კავკასიაში საექიმო დახმარება მოწყობილ იქმნას საერობო ორგანიზაციის მსგავსათ».

კრებამ ბევრი სხვაც დაადგინა. აღვნიშნოთ უმთავრესი მათგანი. კრებამ გადაწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე სულით ავათმყოფთა თავშესაფარის მოწყობის შესახებ, სანატორიებისა და კეთროვანთა თავშესაფარის მოწყობის შე-

*) ამ წერილის დაბეჭდვა უადგილობისა გამო დაგვიგვიანდა.
რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასებ, განაცხადა, რომ საჭიროა სოფლის ექიმები დროგამოშვებით დიდ საავთომოფოებში გაიგზავნონ სამუშაოთ, რათა ამნაიჩათ შეიცნონ თავის ცოდნა და მეტი გამოცდილება შეიძინონა. უველა ეს გადაწყვეტილება კრების სურვილია; მარა რამდენათ იქნება მოუვნილი სისრულეში ეს სურვილები, ამაზე ჩვენ არაფერის თქმა არ შეგვიძლია. საზოგადოთ ჩვენში ეოველი ასეთი საქმე მეტათ ნელი ბიჯით მიდის წინ.

ლდეს კავკასიაში ქსენონების შესანახათ იხარჯება 200 ათასი მანეთი. კიდეკ სუფი წლის წინეთ ადგილობრივმა საქმიმ მმართველობამ შეიმუშავ პროექტი, რომელსაც აზრათ ჰქონდა ეს სარჯი 800,000 მან. აუკანა. გაიგზავნა შესაფერი შუამდგომლობაც სათანადო მთავრობასთან; მარა უარი მოვიდა; იმ მოსაზრებით, რომ რადგან საქმიმ საქმის მოწყობა დაკავშირებულია საერობო ადმინისტრატიულ მართველთან და რადგან ამ მართვის წესი უნდა შეიცვალოსა. სხვა, ჩვენზე უფრო განათლებულ ქვეყნებში თუ უფრო კარგათა მოწყობილი საქმე, ეს სულ საზოგადოების საქმეა. ინგლისში, საფრანგეთში სალსი თვითონ ზრუნავს თავის კანმრთელობაზე და თვითონ აარსებს საავთომოფოებს და ქსენონებს. ჩვენშიაც თავისი იმედი უნდა გაქონდეს. მეტი შეგნება, მეტი ცდა და საქმეც შესაფერათ გაუმჯობესდება.

ექიმი.

ᲕᲡᲘᲡᲘᲣᲠ და ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲐᲖᲔ.

(წ�მეორე).

განმარტება იმ კანონების, რომლებიც განაგებენ საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობას, შაადგენს ასევ ადმოცენებულ მეცნიერების—სოციოლოგიის საგანს. სოციოლოგია ნათლათ გვიჩვენებს ჩვენ, თუ რა რთული და მრავალ მხრივ სალსთ ისტორიან და რაგორ ძრმა დაკვირვებას მოითხოვს მისი პირობების ახსნა და შესწავლა. მაშინ, როდესაც ფიზიკური პროცესესები მეორდებიან ერთ-გვარათ, თითქმის უცვლელათ, სოციალურ ცხოვრებას საკვირველი სხვა-დასხვაობა ემჩნევა: ერთი მოვლენა ისე არ სდება, რომ არ გამოიხატოს რაიმე განსაკუთრებული თვისება. ამათ ახსნაში ეს გარემოება, რომ მათემატიკური მეცნიერებანი, როგორც მაგალითათ ასტრონომია, გეომეტრია, ფიზიკა და სხვები შემუშავდენ ძველ დროში, რამოდენიმე ასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდინ, საზოგადოებრივმა მეცნიერებამ მხოლოთ წარსულ XIX საუკუნეში მიიღო მეცნიერული სახეათი.

სოციალური მეცნიერების შემუშავება მჭიდროთ არის შეკავშირებული საბუნებისმეტყველო საგნების განვითარებასთან. შეიარაღებულნი იმ ანალიზით, რომლითაც ფარდა აესსნა ობიექტიურ ბუნების დაფარულ მოელენებს, მეცნიერები შეუდგენ სალსთ ისტორიის შესწავლას და იქაც იმ დასკვნაზე მივიდენ, რა დასკვნაც ბუნების მეტყველებმა ფიზიკურ მოვლენების შესახებ გამოიყვანეს: რომ სოციალური წეს-წყობილება არ არის შემთხვევის ნაყოფი, არამედ მასაც აქვს თავისი გამომწვეკი მიზეზები, რომლებიც განსაზღვრულ წრეში აყენებენ მის მსვლელობას და მრავალ-გვარ საზოგადოებრივ მოვლენათა შორის აფუძნებენ შეურეკველ თანდათანობას.

ასეთი შესედულება ისტორიულ ცხოვრების მიმდინარეობაზე მეცნიერებაში მეტადრე განმტკიცდა მას შემდეგ, რაც, ერთი მხრით, დარვინის გენიოსურმა გამოკვლევამ წარმოადგინა ორგანიზმთა ბუნებრივათ განვითარების პროცესსი და, მეორე მხრით, ასევ შემუშავებულმა, ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრებამ მჭიდროთ გადაბა ერთი მეორეს სოციალური ურთიერთობის სხვა-და-სხვა მხარეები და საერთოთ დაუმორჩილა ისინი საზოგადო ეკოლიუციის ზედ-მოქმედებას. მართალია აზრის ეს ორი მიმდინარეობა—ეკოლიუციონიზმი და ეკონომიური მატერიალიზმი—შემუშავდენ ცალ-ცალკე, ერთი მეორესთან დამოუკიდებლათ, მაგრამ მათ შორის არის იმდენი საერთო რამ, რომ მხოლოთ ორიეკე თეორიები უგებენ ვრცლათ კითხვებზე, რომელნიც შეეხებიან, საზოგადოთ, ორგანიზმთა წარმოშობის და, კერძოთ, ადამიანის მოქალაქობრივ წეს-წყობილების ისტორიას. იქ, სადაც ვერ წვდებიან დარვინის ბიოლოგიური კანონები, ნათელს ფენს ეკონომიური მატერიალიზმის განმარტება. ამ ნაირათ მათ შორის არსებობს მტკიცე მეთოდოლოგიური კავშირი. დაწვრილებით განსილვა ეკოლიუციონიზმის და ისტორიულ მატერიალიზმის დაგვანახვებს ჩვენ, თუ რას შეიცავს ეს ორი მოძღვრება და რა მოსაზრებაზეა აშენებული მათი პრინციპები.

უმთავრესი იდეა ეკოლიუციონური მოძღვრებისა არის იდეა მოვლენათა განვითარებისა. ორგანიზმები და მათი ცხოვრების პროცესი, მიუხედავად განსაკუთრებულ თვისებებისა, რომლებიც ერთი მეორესგან განირჩევიან, ემორჩილებიან ამ საზოგადო კანონს. საზღვრები, რომლებსაც სდებდა ძველი შეხედულება ადამიანთა და ბუნების შორის, ამ კანონის ძალით ისპობიან. ფიზიკური, ორგანიული, სოციალური და სულიერი მოვლენები მჭიდროთ არიან ერთი ერთმანეთზე გადაბმული და საერთოთ ადიან იმ გზაზე, რომელსაც უჩვენებს მათ განვითარების პროცესსი.

კერძოთ, განვითარების იდეა შეიცავს სამ უმთავრეს პრინციპს, რომლებითაც გარკვეთ ახსნება ობიექტიური და სუბიექტიური მოვლენები. ეს პრინციპები: მოვლენათა დიფერენციაცია, მათი შეწყობა ამ თუ იმ პირობებთან და, მესამე, როგორც შედეკი ზარკელი ორი პრინციპების – მოვლენათა გაუმჯობესება. განვიხილოთ თვითოეული პრინციპი ცალ-ცალკე.

მოვლენათა დიფერენციაციაში ისტება, რომ პირველ ერთ გვარ მდგომარეობიდან ჩნდებიან სხვა-და-სხვა გვარი მდგომარეობანი, რომლებიც შემდეგ ერთი მეორესგან განსხვავდებიან. რატომ იცვლება საზოგადოთ საგანი – ეს ისეთი მეტაფიზიკური კითხვა, რომლის ბასუხი მეცნიერების საზღვრის გარეთ ძევს. სოდა ბუნების შემსწავლელისათვის მოვლენათა დანაწილება წარმოადგენს შეურეველ ფაქტს. მეცნიერს შეუძლია გითვალისწინოს ცვლილების მიმდინარე პირობები და თანაც დაასაბუთოს მათთვინ განსაკუთრებული კანონები. დიფერენციაცია მოქმედობს ცხოვრების უველა მხარეებზე: ორგანიული, ეკონომიური და სულიერი მოვლენების სხვა-და-სხვაობა შედეგი არის დიფერენციალური პროცესსის ზეგავლენისა.

ანაწილების უტეეარ მაგალითს წარმოადგენს პირველათ თვითონ ადამიანის ორგანიზმი. უკანასკნელი, როგორც ვიცით, განვითარების პირველ საფეხურზე შესდგება მხოლოთ ორი უჯრედიან. სსეულის ზრდა იწყება მაშინ, როცა უჯრედები ნაგთიერების მიღების შემდეგ თანდათან ნაწილდებიან. პირველათ სსეულის უველა ფუნქციას ასრულებ ორი უჯრედი ასრულებდენ. შემდეგ კი, რაცა მათი რიცხვი მატულობს, თვითოეული უჯრედი განსაკუთრებულ მოვალეობას ღებულ ავის თავზე. რამდენათაც იზრდება სსეული, იმდენათ მრავლდებიან უჯრედები და თანაბრათ ინაწილებენ შრომას. დასრუ-

ლებულ ორგანიზმში მუსკულები ემსახურებიან მხოლოთ მოძრაობის შუნქციის, ნერვები — გრძნობებს და თვითცნობიერებას, ტანის დანარჩენი ნაწილები კი ეწევიან სხვა გვარ დანიშნულებას.

დიფფერენციალური პროცესი ისტორიაში ერთოვე საზოგადოების წევრთა შორის შრომის განაწილებაში. ვინ იცის, რამდენი ადამიანის ხელში გადის სულ უბრალო საქონელი, რომელიც გამოაქვთ ბაზარში გასაყიდად. თუ რამდენათ განაწილებული იყო შრომა, რამოდენიმე საუკუნის წინ, ჩვენ ვსედავთ ადამ სმიტის ნაწერებიდან, სადაც ეს ეკონომისტი გვიჩვენებს, რომ ერთი ქინძისთავი 30—70 მუშის შრომით მზადდებოდა. მით უფრო უნდა ითქვას ეს თანამედროვე შრომის განაწილებაზე, როცა ტესნიკური მხარის განვითარებამ უმაღლეს წერტილამდინ აიწია და მიმოსვლის საშუალების გაუმჯობესებამ საშინლათ დააჩქარა სხვა-და-სხვა მხრის მცხოვრებლები. შრომის განაწილებასთან ერთათ განვითარდა შრომის იარაღები. ბირველ ოთხილ ადამიანის ტესნიკურ სიმდიდრეს შეადგენდა მხოლოთ უბრალო ისარი, უკანასკნელიდან კი თანდათან [illegible] ან ის რთული მაშინები, რომლებიც დღეს საოცარ [illegible] ით ამზადებენ ამარებულ ნივთებს. ამავე დიფფერენციაციას ვსედავთ ჩვენ სხლის ხელიერ ცხოვრებაში: ენა, მეცნიერება, ზნე-ჩვეულება, სიმბატია-ანტიბატია და სხვა ბსიხიური აქტები რამდენადაც კითარდებიან, იმდენათ მათ შორის ფუსს იკიდებს სპეციალიზაცია. ერთი სიტყვით, ოთველგვარი მოვლენები, დაწყებული ბუნების რთულ პროცესებიდან თვით შეუმჩნევლად პროტოპლაზმის მოძრაობამდე, ემორჩილებიან დიფფერენციალურ პრინციპს.

მეორე ძირითად კანონს საზოგადო განვითარებისას, როგორც ადვნიშნეთ, შეადგენს მოვლენათა შეწყობა, ან შეთვისება გარემოცულ პირობებთან. ბუნებასთან შეწყობას თანდაყოლილს რაგორც ველურ პირის ცხოვრება, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციის შემუშავება. აქ მსედველობაშია მისაღები, ერთი მხრით, ასტრონომიული, გეოგრაფიული და გეოლოგიური თვისებები იმ ადგილის, რომელზედაც კითარდება ესა თუ ის ორგანული და სოციალური ცხოვრება, მეორე მხრით — ის მოქალაქობრივი ურთიერთობა, რომელიც სასურველ ნიადაგზე ამყარებს სალხის მატერიალურ მხარეს და მასთან ერთათ წინ სწევს მის ოვალ მხრივ განვითარებას. ასტრონომიული მდებარეობით ჩვენი დედა-მიწა იყოფა ხუთ ნაწილათ და თვითოულ მხარეზე თავისებურათ წარმოსდგება ლოციალური ცხოვრება. ერთობ ცივი ჰავა, როგორც ბოლიარულ ქვეყნებში, საშუალებას უსპობს რთულ საზოგადოებრივ განვითარებას. ამიტომაც ამ მხარეების მცხოვრებლებს ნაკლები მნიშვნელობა აქვთ კაცობრიობის ისტორიაში. მეორე მხრით, ჩვენ ვსედავთ ეკვატორის გარშემო ცხელ ქვეყნებს, სადაც უსკათ ხარობს ცხოველთა და მცენარეთა სამეფო. მაგრამ არც ამ ადგილებს ხვედთ წილათ აკვნათ განმდარიყო იმ დიდი კულტურის, რომელიც აუკვადა დედა-მიწის სხვა მხარეებზე. მიზეზი, ბოლის გამოკვლევით, იმაში მდგომარეობს, რომ ხალხს ზედ-მეტი სიცხის გამო ეკარგება ენერგია მცდელობის, რომელსაც ზომიერ ჰავაში სიამოვნებით ეწევიან. „ჰავა მოქმედობს ადამიანის შრომაზე, ამბობს მილი, არა მარტო მით, რომ ასუსტებს, ან ამაგრებს მშრომელს, არამედ მოქმედობს უკანასკნელის წარმოდგენებზედაც“ *) გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ცხელი ქვეყნების მცხოვრებლები უკეთოთ იღებენ ბუნებიდან საჭირო სარჩოს. რის გამოც ნაკლებ უფრადღებას ადღეკენ შრომის რთულ განაწილებას და საერთო ძალით მოქმედებას. ზაჟოთოლილ ნაკლულოვანებებს მოკლებულია საშუალო ან ზომიერი ქვეყნები და, მართლაც, აქ შემუშავდა ისეთი მაღალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როგორსაც წარმოადგენენ ევროპის და შეერთებულ შტატების განათლებული სახელმწიფოები. ამასთანავე ფიზიკური გეოგრაფია აღნიშნავს, რომ სალსი მეტადრო იქ არი დასახლებული, სადაც ჰავა იზომეტრიული ხაზებით ისაზღვრება 16° და 4°, ამიტომაც უმდიდრესი და უმრავლესი ქალაქები, როგორც მაგალითათ ჩიკაგო, ნიუიორკი, ფილადელფია, კენა, ოდესა, ბეკინი — ამ ხაზებს შეა არიან გაშენებულნი. სალსის დასახლებაზე თავისებურ გავლენას ახდენდა ერთოვე ნიადაგის ვა-კარგიანობა. იმ ადგილებზე, სადაც შესაფერათ კეთდოვლებოდა ადამიანის შრომა, ბირველათ აუკვადა ცივილიზაცია. ჩანეთის, ბედის, ასირო-ბაბილონის და ეგვიპტის კულტურა ჩაისახა და განვითარდა ანტესეკიანგის, ინკის და განგის, ტიგრ-ეფრატის და ნილოსის ნაპირებზე**).

Tusci

(ემდეგი იქნება).

*) Бокль „Исторія цивилизаціи въ Англіи“ т. I.

**) Мечниковъ „цивилизація и великія историческія рѣки“.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი.

ქართული თეატრი.

კვირას, 4 ნოემბერს 1901 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I.

ფული და ხარისხი

კომ. 3 მოქმ. თსზ. ანანიასი.

II.

ძალათ ცოლის შერთვევინება

კომ. 1 მოქმ. მოლიერისა, თარგ. დ. უფლიანისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ლეფავა, მდივანი და გიორგაშვილისა; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედეანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, აწყურელი, მირიანაშვილი, ურუშაძე, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

შემდეგი წარმოდგენა 8 ნოემბ.; მზადდება შემდეგი პიესები: «მსხვერპლისთვის მსხვერპლი», დრ. 3 მოქმ. და „ტარტიუფი“, კომ. 5 მოქმ.

გამოვიდა და იყიდება **ლექსები და პოემები** ი. ეკლოშვილისა, მეორე შევსებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და ამხ. ფასი **ათი შაური**. ვინც ათ ცალზე მეტს გამოიწერს, წიგნი დაეთმობა 25% დაკლებით. ადრესი: Редакція „Квали“, Г-ну Хоситову.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 ноября 1901 г.

სტამბა კ. ი. მარტიროსიანცისა, დიდი ვანქის ქ. № 1—2.